



საქართველო
საბჭოთაო
საბჭოთაო

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კაპ. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სხვა თფით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—«წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების» კანცელარიაში და «კვადის» რედაქციაში, სხვათნის ქუჩაზე, № 35.

ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисть, Редакция. «КВАЛИ».

შინაარსი: ემილ ზოლა.—ცხოვრება და მეცნიერება,—სხვა და სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—სიხარული, მოთხ. ან. ჩეხოვისა, თარ. მ. შუმოქმედელისა.—ნაწიწკლები, ნაწიწკალისა.—ბიძია არქიფო და ლენკა, მოთხ. მ. გორკის თარ. ვ. გიუნაშვილისა.—ჩვენი ცხოვრებიდან, დ. თ.-სა.—რუსეთის ცხოვ.—საზღ.-გარეთ.—საერთა შორისა ბრძოლა სინდიკატ. წინააღმდე.—ქალაქის მომადი არჩევნები ბათუმში,—მონობა და ბატონ-უმობა.—მეფე ანტონე მე-VI-ს კანონები და ქართველი ქალი, ა. ჩხენკელისა.—წერილი რედაქციის მიმართ.—სათავად-სხვაურთ თეატრი, თ.-სა.—განცხადებანი.

კვირას, 22 სექტემბერს, მკარმორცე დღეს დრამატურგის აექსენტი ანტონის ძის წაგარღლის

გარდაცვალებისას ქვაშეთის მწ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვილი განსვენებულის სულის მოსახსენებლათ, რასაც ქვრივი გარდაცვალებულისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ.

ქართულ დრამატულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რა კვირას, 22 სექტემბერს, კვაშეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება განსვენებულ

აექსენტი წაგარღლის

სულის მოსახსენებლათ თრმობა დღის წირვა და ხანაშვიდი. ხანაშვიდი დაიწყება დღის 11 სათზე.

† ემილ ზოლა.

17 ამ თვეს ტელეგრაფმა მიავიტანა სამწუხარო ამბავი: პარიჟში გარდაიცვალა საფრანგეთის ერთი საუკეთესო შვილი—ემილ ზოლა, ავტორი მრავალი შესამჩნევი რომანებისა. მან გაითქვა სახელი აგრეთვე, რაგორც სიმართლის დამცველმა და ბოროტების, ორ-პირობის მტერმა. ქეშმარიტების სიყვარულმა მას მოუპოვა მრავალი შურის მაძიებელი. საფრანგეთის ნაციონალისტები მას გადაემტერა იმიტომ, რომ ის გამოესარჩლა უდანაშაულოთ დატანჯულ ებრაელ დრეფტეს. საფრანგეთის ნაციონალისტებმა დადებულ მწერალს მრავალ გვარი შეურაცყოფა მიაცენეს, მთავრობაც მზათ იყო ის სატუსალოში დაებინავებია. საფრანგეთის საუკეთესო შვილმა მხოლოთ სამშობლოდან გაქცევით იხსნა თავი ბრძან-მორეულ ნაციონალისტებისაგან...

გორც დიდებულ მწერალს და მოქალაქეს და მის მღვენელ ნაციონალისტებს კი ზიზლიო.

ცხოვრება და მეცნიერება.
III


საფრანგეთში გამრავლებულა მხოლოთ პარცელარული (ერთ დესეტინაზე ნაკლები) და ძლიერ მსხვილი მეურნეობათა (100 დესეტინა და მეტი) რიცხვი; საშუალო და წვრილ მეურნეთა რიცხვი კი შემცირებულა.

პარცელარული გამრავლება მოასწავებს წვრილ მიწადმოქმედთა დაქვეითებას*); ამას გვიმტკიცებს ის მიზეზები, რომლებმაც გამოაწვია პარცელარული გამრავლება.

პირველი მიზეზი მეურნეობის დაქუცმაცებისა შემკვიდრობის გაყოფაა მონაწილეთა შორის. მეორე—გაქირვებულ გლეხების მიერ მათი მამულის ერთი ნაწილის გაყიდვა; მესამე—მუშები სოფელში იჯარით იღებენ ან ყიდულობენ მიწის პატარა ნაკრებს სამოსახლოთ, ვინაიდან ქალაქებში ბინის დაქირავება და ცხოვრება ძვირათ უჯდებათ; მეოთხე—პარცელარულ მეურნეობათა რიცხვის გამრავლებას ხელს უწყობს ზრდა ქალაქებისა და მოქალაქობრივი ცხოვრების განვითარება.

ქალაქების ზრდას ეს გავაენა აქვს ახლო მახლო მდებარე მამულებზე, რომ სხვილი მამულები წვრილ-წვრილ ნაწილებათ იყოფა. ამ მამულების პატრონთ ესაქიროებათ ფული, რომ რაციონალურად წაიყვანონ მეურნეობა, და ამიტომ ყიდიან რამოდენიმე ნაკრებს თავისი მამულებიდან. ამ ნაკრებზე შენდება სააგარაკო სახლები და სხ. აქ ჩვენ გვაქვს საქმე ისევ პარცელიარულ მეურნეობასთან, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში სივრცით პატარა მამულის პატრონ კაპიტალისტებს შედარებით დიდი შემოსავალი აქვთ.

*1) იხ. ვანდერფელდის „Les villes tentaculaires“ (გაბედილს მგონი, გაღმობითარგმნა რუსულათ ასეთი სათაურით: **Притягательная сила города.**)



მაგრამ როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ სოფლის მეურნეობაზე, მხედველობაში უნდა გვქონდეს ისეთი მეურნეობები, ვისაც ერთ დესეტინაზე მეტი მიწა მოეპოვება. ხოლო ამათი რიცხვი საფრანგეთში შემცირდა, მაგრამ აქ არი ერთი გამოწვევა. წვრილ მეურნეთა იმ ნაწილს, რომელსაც ქონდა ნაკლები 10 დესეტინამდე, 10 წლის განმავლობაში მოემატა 19 ათასი (769—788 ათასი), ე. ი. მხოლოდ 0,26%; ხოლო დანარჩენ მეურნეობათა რიცხვი ამნაირათ შემცირდა:

	1882	1892
წვრილი	46,46%	45,90%
საშუალო	12,81%	12,47%

წვრილი მეურნეობის რიცხვმა (5—10 დ.) იმატა 19 ათასი, დანარჩენი საშუალო და წვრილი მეურნეობათა რიცხვმა იკლო 52 ათასი; ამნაირათ, საზოგადოთ წვრილი და საშუალო მეურნეობის რიცხვმა 10 წლის განმავლობაში იკლო 33 ათასი. ამავე დროს შემცირდა სივრცე იმ მიწებისა, რომლებზედაც წვრილი და საშუალო მეურნეობა იყო გამართული.

მეურნეებს ექირათ	1882		1892	
	(ათასი)	(ათასი)	(ათასი)	(ათასი)
წვრილი	—11.366,3	11.244,7		
			14.845,6	14.113,4
საშუალო				

ამნაირათ საერთო შემცირება მიწის სივრცისა ამ ორ კატეგორიის მეურნეობისა 653,8 ათასი დესეტინით გამოიხატება. ეს კიდევ კოტაა: შემცირდა აგრეთვე ორთაშუა სივრცე მიწისა თითოეულ მეურნეობაში:

მეურნეობას ექირათ ორთა შუა	1882		1892	
	წვრილი	საშუალო	წვრილი	საშუალო
	4 31	20 41	4 29	20 13

მეორე მხრით სოფლის სხვილ მეურნეობაში ჩვენ ვხედავთ სრულიათ წინააღმდეგ მოკლენას. აქ იმატა საზოგადო სივრცემ მიწისამ და თითოეულ მეურნეობამ ორთა შუა მეტი მიწა დაიკავა. პირველი გადიდა 197,3 ათას დეს., მეორე აიწია 156,5 დან 162 დესეტინამდე.

აქედან ცხადათ სჩანს, რომ წვრილი მეურნეობა ნელ ნელა აღდგის უთმობს სხვილ მეურნეობას. ამ უკანასკნელთა რიცხვი დროებით იზრდება, მაგრამ ეგ ზრდა უნდა შეჩერდეს იმ მომენტიდან, როდესაც წვრილი მეურნეობათა რიცხვი თვალსაჩინოთ შემცირდება. საკვირველი არაა, რომ ასი ათას მეურნეობათა ნანგრევებზე 4 ათასი ახალი სხვილი მეურნეობა ჩნდება. მაგრამ, როცა გათავდება ეს პროცესი, როცა ბრძოლა დამკვიდრდება მართო მსხვილ მეურნეთა შორის, მაშინ მსხვილ მეურნეთა რიცხვის გამრავლებაც შეჩერდება.

აქ მოყვანილ საბუთებიდან სჩანს, რომ სოფლის წვრილი მეურნეობა აღდგის უთმობს ძლიერ მსხვილ მეურნეობას. მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ კიდევ ერთ ფაქტს— მოწით-მოშქმედთა და სოფლის მცხოვრებთა რიცხვის შემცირებას; უკანასკნელთა რიცხვი იყო:

1876 წ.	18.968.605
1896 წ.	17.435.888
	<u>1.533.117</u>
საერთო რიცხვი საფრანგეთის მცხოვრებთა კი იყო:	
1876 წ.	36.905.788
1896 წ.	38.343.192
	<u>1.437.404</u>

საფრანგეთში ხალხს მომატებია მილიონ ნახევრამდე; კელამ კარგათ იცანს, რომ სოფელში მეტი იზადება, ვინც

ქალაქში: მიუხედავათ ამისა გლეხობის რიცხვი მცირდება; ხალხი სოფელს გაუბრუნდა. ეხლა თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საფრანგეთში ორთა შუა მცხოვრებთა რიცხვი ყოველ წელიწადს ემატება 75.000, მაშინ სოფელსა და ქალაქს შორის განმავლობაში უნდა მომატებოდა არა ნაკლები 760.000 სულისა. მაგრამ ამ ოც წელში სოფელს დაუკარგავს ორ მილიონზე მეტი. (1533117+760000=2.293117), რასაკვირველია, ეს ორი მილიონი მიწა დაკარგა მხოლოდ მეურნე გლეხობამ. რისთვის, რა მიზეზის გამო? ამის გამოკვლევა საინტერესოა, მაგრამ ამით არა მგონი ჩვენ შევაჩეროთ ეგ სამწუხარო პროცესი...

(შემდეგი იქნება). დ. თ.


სხვა-და-სხვა ამბები.

ჭაათურადან გაწერენ: ამ ქამად ჭიათურაში დადის საბჭოში გასაგზავნი განცხადება, რომლითაც 100 მრეწველნი კიდავართის გზის გაკეთებას თხოულობენ, რომელზედაც წელიწადში არა ნაკლებ სამი მილიონი ფუთი ქვისა გადმოიზიდება. საკვირველია ღმერთმანი, 6—7 წლის თვის არსებობის ხანაში ამ მხრივაც შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს ვერ დაუკმაყოფილებია მრეწველნი, თუმცა უზომო ფული იხარჯება და 80.000 მანეთამდე გადადებულია ყოველწლიურათ გზებისთვის. „გამოგვისხენით ამდენი მრეწველნი და განსაკუთრებით, მუშა ხალხი იმ განსაცდელისაგან, რომელსაც განვიციდით ამ გზაზე გარების დროსო“, ნათქვამია სხვათა შორის განცხადებაში. მართლაც, არა ერთი ცხენი და ჩაღვადარი გამოთხოვებია წუთი სოფელს როგორც ამ გზაზე, აგრეთვე სხვა გზებზე გავლის დროს, რომელთაგან მოაჯირს ეგერ-აგერ ზოგიერთებს მხოლოდ ეხლა უკეთებენ, მაგრამ ან კი სხვა რა შედეგი უდა მოყვეს საბჭოს კანცელარიის ჭიათურასა და ქუთაისის შორის ფორმალურ მიწერ-მოწარას და მით თავის შექცევას!?

იქიდანვე გვწერენ: ვერც აქაური საავთმყოფოს საქმე მიდის, როგორც ცნობილია, რივიანათ: „ერთი რივიანათ არ გაემძღარვარ რაი იქინა ვიყავიო“, — ღმერთმა დამიფაროს აწი იქინეი შესვლა, კაცი არც მოგინებდავს და არც საქმელს მოგცემს საძლიძათო, ექიმი რომ ქათამს გამოიწერს, სუფს ვაქმევენ, ქათამი კი სადღაც მიფრინავსო“ გაიძახის მეორე. „ეი, შენ ჩემო ძმაო, თუ გებრალება მაგ ავთმყოფი შენ სახლში წაიყვანე აქ ბინა არა გვაქვსო“, გაიძახის საავთმყოფოს ფერმალ-დოსტიქარი, როცა მასთან სულთ-მობრძავი ავთმყოფი მუშა მიუვათ და როცა საავთმყოფოში 6—7 ადამიანის მეტი არ წვანან და როცა ყოველ წლიურათ 19.273 მანეთია საავთმყოფოსთვის გადადებული მესამე მორიგ კრებიდან.

აქაურ საკვირაო სკოლაში მოწითეთა რიცხვი თან და თან კლებულობს; კვირა დღეები უნდა გამოგიქვითო ქირაშიო, ეუბნებიან ხაზინები მათ. კვირა დღესაც ჩვენს ხარ და საქმის დღეცო, კვირას კიდევ უფრო გვჭირდებაო, ასე ეუბნება თავის მოსამსახურეს ერთი ჭიათურის ინტელიგენტ-ბურჯთაგანი. საჭიროა დროზედ ყურადღება მიაქციოს შ. ქ. მრეწველთა საბჭომ ამ გარემოებას, სანამ უკოლა დაცარიელდებოდეს, თორემ სიკვდილს შემდეგ სინანული გვიანდა იქნება.

ქ. შ. წ. გამავრცელებელ საზოგადოებას ყავს 679 წევრი, რომელთაც 6 მან. უნდა იხადონ წლიურად. აქედან სა



წევრო ფული შემოუტანია მხოლოდ 60 კაცს, დანარჩენ 619 წევრს-კი შემოსატანი აქვს კიდევ 3924 მან.; 59 დამფუძნებელ წევრთაგან საწევრო გადასახადი (20 მან.) შემოსულა 4 კაცისაგან და 55 კაცზე დარჩენილა 1100 მან.; სულ შემოუტანელია დღევანდლამდე 5014 მან.

ქართულ სახალხო წარმოდგენებისა და კითხვათა სექციას შეუძენია სამუსიკო საკრავები. სექციას წარმოდგენების დროს მუსიკაზე თითქმის 40 მან. ეხარჯებოდა. ეხლა რკინის გზის მოსამსახურენი დაუკრავენ და ამ რიგათ აღარაფერი დაეხარჯება.

16 ამ თვის რიცხვიდან ქარხნების პატრონებმა, საფაბრიკო ინსპექტორის მოთხოვნილებით, შემოიღეს მუშებისათვის დასარიგებელი წიგნაკები, სადაც აღინიშნება სამუშაო პირობები, ჯამაგირები და სხვა. ქარხნის პატრონმა ცალკე დავთრები უნდა გამართოს, სადაც ჯარიმები უნდა აღინიშნებოდეს.

ვენაში დაიბეჭდა საყურადღებო თხზულება ექიმის კვლევისა ქლექის შესახებ. როგორც ამ თხზულებიდანა სჩანს, ყველაზე მეტათ ქლექი გავრცელებულია რუსეთში. ერთ მილიონ მცხოვრებიდან ქლექით კვდება:

ინგლისში	1,358 კაცი.	შვეიცარიაში	2,031 კაცი.
შოტლანდიაში	1,727 ,,	გერმანიაში	2,246 ,,
ნორვეგიაში	1,737 ,,	შვეციაში	2,310 ,,
ბელგიაში	1,767 ,,	საფრანგეთში	3,023 ,,
იტალიაში	1,871 ,,	უნგრეთში	3,184 ,,
პოლანდიაში	1,884 ,,	ავსტრიაში	3,625 ,,
დანიაში	1,912 ,,	რუსეთში	3,986 ,,
ირლანდიაში	2,029 ,,		

რუსეთში დაახლოვებით 130 მილიონი სულია. მაშასადამე, წელიწადში მარტო ქლექისაგან 518,180 კაცი ესაღმებ, წუთისოფელს. ევროპის დიდ და სატახტო ქალაქებს შორის ყველაზე მეტად ქლექი მძვინვარებს მოსკოვში.

ქუთაისის ქალაქის გამგეობას დაუდგენია, რომ შავი ქვის მწარმოებელთა მორიგ კრების წინაშე (ოქტომბერში უნდა მოხდეს) იშუამდგომლოს, ქუთაისში ლაბორატორიის დაარსებისათვის თავის მხრით ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს ქალაქს.

18 სექტემბერს აკურთხეს სავაჭრო სკოლა. ეს სკოლა ტფილისის ვაჭრებისაგანაა დაარსებული განსაკუთრებით დიდებისათვის. დიდი თანხა შესწირა ამ საქმეს ა. ი. მანთაშევმა.

მოზდოკის არხებში ჩხრეკის დროს აღმოუჩინათ მრავალი ძველი ხელთნაწერი ქართული წიგნები.

„ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ პოიპოვა უფლება თავ. აკაკი წერეთლის მიერ გადმოთარგმნილ კრილოვის იგავ-არაკების გამოცემისა. თავ. აკაკის უკვე დაუსრულებია 300 ლექსის გადმოთარგმნა. გამგეობა აპირებს სურათებიან კრებულის გამოცემას იაფ-ფასათ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ პრემიები დანიშნა საუკეთესო პიესების ავტორთა დასაჯილდოვებლათ. პიესების წარდგენის ვადა პირველ ოქტომბერს თავდება. ჯერ-ჯერობით გამგეობამ საპრემიოთ ოთხი პიესა მიიღო. („ცნ. ფ.“)

ციერას, 22 სექტემბერს, დაიწყება სწავლა ვერის წმ. ნიკოლოზის ვაჟთა საკვირაო სკოლაში.

აქ ხმა დადის, ვითომც სახელმწიფო ქონებათა საბინიტრო შეკითხვოდეს კავკასიის უმაღლეს მთავრობას იმის შესახებ, თუ სად უნდა მოხდეს შავი-ქვის მწარმოებელთა საზოგადო კრება.

ჩვენ გვატყობინებენ ქიათურიდან, ვითომ ბევრს შავი ქვის მწარმოებელს მიენებებოდათ თავი მუშაობისათვის და დეთხოვოს მუშები იმის გამო, რომ სინდიკატმა მეტად დასწია შავი-ქვის ფასო.

ქუთაისში აზრი ტრიალებს, რომ ადგილობრივმა თვით-მართველობამ იმაზე კი აღარ უნდა იზრუნოს, ამიერ კავკასიის რკინის გზის მეორე ლიანდაგმა ქუთაისზე გაიაროს, რადგანაც ამისთანა ცდა სულ ამაო იქნება, ვინაიდან ძნელი წარმოსადგენია, რომ სახელმწიფო რკინის გზების გამგეობამ მოსპოს აწ არსებული სადგურები; არამედ უნდა ეცადოს, რომ შავი ზღვის ნაპირას მომავალმა რკინის გზამ გადმოსჭრას სამეგრელო და ქუთაისზე გამოიაროს; ამ აზრის განხორციელება ადვილი მოსახერხებელი იქნება, თუ ჩვენი თვით-მართველობა ერთგულათ მოექიდება საქმეს.

როგორც შევიტყეთ, ლენინის მოსავალი ქუთაისის გუბერნიაში წელს ყველგან კარგია; ამასთანავე კარგიც დადგათურმე; იმედია ლენინის ფასი დაიწვეს.

ყრუ-მუნჯთა სამზრუნველოს განყოფილებას კიდევ მოუძებნა სადგომი და მომავალ ოქტომბრიდან სკოლასაც გახსნიან- სკოლის გამგეთ ბ-ნი რაუტია; ამას გარდა კიდევ იქნება მასწავლებელი ქალი მინასიანცისა. წინად განზრახული ქონდა სამზრუნველო განყოფილებას მხოლოდ ექვსი ყრუ-მუნჯი მიეღოთ, მაგრამ იმდენი მთხოვნელი მიაწყდა თურმე, რომ ეხლა ერთი ორათ მიუღიათ: 12 ყრუ-მუნჯი ამოურჩევით კიდევ.

ზემო იმერეთიდან გვატყობინებენ, რომ სიმინდისა და ლენინის მოუსავლობით მეტად დაზარალებულან მთიან ადგილების მცხოვრებნი. მაგალითად, სოფ. კორბოულისა, დურევისა, ქალისა, ცხამისა და სხვ. სოფლები იმდენათ დაზარალებულან, რომ ამ შემოდგომიდანვე დასჭირდებათ სიმინდის ყიდვა. საქმეს უფრო ის გაუჭირვებს ხალხს, რომ ქიათურაში შავი-ქვის მუშაობა შესწყდა, რის გამოც ხალხს ფულის შოვნა მეტად გაუძნელდა.

ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი ბ. ი. გოგებაშვილისა: „Правда о Тифлисе“, მეორე გამოცემა. პირველ გამოცემასთან შედარებით წიგნი გაცილებით უფრო ვრცელია და შეიცავს საყურადღებო ცნობებს: ფასი 20 კ.

ქორესპონდენციები.

მწიბრის საზოგადოება (ქუთ. მაზრა). შარშან ეჭურის საზოგადოებაში მოსავალი ძლიერ ნაკლები იყო. ძვირად მოაბრეზებდა ისეთი ზიარი, რომელსაც საჩხა ადგვამა დღემდის გაუფლავდა. უმრავლესობამ ეიდავს მიჰყო ხელი, მაგრამ ხშირად საუბრათაზე ვერ შეუღობდა კაცი და თუ შეუღობდა, ფუთში მანეთს, ხან შეტსაც აძლევდა. დღეს ფუთი სიმინდის ფასი 80 კ.

წელს ჩვენსკენ სიმინდის მოსავალს კარგი ზიარი უჩანს, თუმცა ეს ხუთი ექვსი დღეა რაც აქეთ გამოდებით წვიმს, და ეს ძლიერ ხელს უშლის სიმინდის დამწიფებას და სტეკეის დაწეებას. თითქმის ერთი წელიწადი იქნება მას შემდეგ, რაც ეჭურის საზოგადოებაში ორი ერთკლასიანი სკოლები გააღებენ და კლას

სიანებთან. ეჭვების სკოლას სამინისტრომ უფველ წლაურათ 400 მანეთი დაუნიშნა. ამ გვარად დღეს ჩვენ საზოგადოებას ორი ორკლასიანი სასწავლებელი აქვს, რომლებშიაც ორსამდე ემსწავლე სწავლობს, ამ სასწავლებლებში მეორე მასწავლებელი უკვე დაინიშნა, მხოლოდ საჭაროა ეხლა დაჩქარებით შენობების მოპოვება. სიანეთში უკვე დაადგინა განახლებული შენობის აგების შესახებ. ახირობენ აგურის შენობის აგებას, რომელიც უფროსადაც არა ნაკლებ სიმათასი მანეთისა. ორა ათასი მანეთი სოფელში აგისრა, ხოლო ათასი მანეთით ერთდროული დასმარება ითხოვა სამინისტროს წინაშე.

... ნაცვალი

მიათურა ბევრნაირათა შესანიშნავი ჩეენი ბედურული შავი ქვის სამეთეო, მაგრამ უფრო შესანიშნავია ის თავისი მრავალ ნაირი ნაკლებულებით. ვინ არ იცის რაებს არ დაზარდეს ჭიათურის, მაგრამ ბევრი დაზარება, ბევრი სიტუვა დღემდე საქმით არ ქრეულა, მხოლოდ ჭიათურის ისევ ჭიათურადვე რჩება. ბევრი სასიხარულო დაწესებულების დაარსება გადაწყდა შავი ქვის მრეწველთა შესამე კრებაზე. ზოგი ამ დაწესებულებათაგანი, როგორც იქნა გამოიწვეს, ზოგი არსებობს კიდევ, მაგრამ თავისი დაინიშნულებას თითქმის ნახევრადვე ვერ ემსახურება, ზოგი მთლათ მივიწყებულია, მივიწყებულია საბჭოსაგან და როდის მოაკნდება საბჭოს, რომ უურადდება მაქციოს—აღაჰმა უწყის. ვინ არ ახსოვს თუ რა აღაქათი ატრედა მრეწველთა კრების საბჭოზე. ისიც გვახსოვს რომ კრებას, არც ჭიათურის მუშა ხალხი დაუტოვებია უურადლებათ. გადაწყდა ოფიციალური სასადალოების გამართვა მუშებისათვის, მაგრამ საუბედროთ ეს მხოლოდ ქაღალდზე დაჩქარდა და ჭ-ს ცხოვრებაში სინამდვილეთ გადაქცევის დღემდე ვერ დიხსნება და არც ვიცით როდის ედარსება. არსებობს სამკითხველო, მაგრამ მისი არსებობა არ არსებობს, არააარსებობს ემ აგებს; ის სრულიათ ვერ ეხმარება გონებრივ წარმართებაში საზოგადოებას იმ ნაწილს, რომელსაც უფველ უწინარეს უნდა ემსახურებოდეს. ჭიათურის ხამკითხველო ვერ იზიდავს მუშა მკითხველებს, მათი რიცხვი აქ ძლიერ ცოტაა, იშვიათი მოვლენაა რომ ვინმე მუშათაგანს შან წასავითხვავთ აქედან წიგნი მიქნდეს, ამის მიზეზია ერთთავათ წიგნების სიცოცხლე საზოგადოთ და მუშათა გონებას შესაფერი წიგნების უქონლობა კერძოთ. ჭიათურის სამკითხველო და წიგნთ-საცავი თავისი უზარტონობასა და უხეირობისა გამო დაშორებულია „მკითხველ საზოგადოებას“, დაშორებულია ხალხს, მას სამკითხველო ოცტის ოდენა სარგებლობას ვერ აძლევს, გონებრივ დახმარებას სრულიათ ვერ უწყის. არის ჭიათურაში აგრეთვე შავ დღეზე დაბადებული საავთმოფთო, საუბედროთ აქედამდე ბევრს ვერაფერს სახუგემოს დებულობს; ხალხი გაჭირვების დროს. ხალხი ხედავს უფლაფერს და აფანებს მის ავლა-დიდებას, ამიტომაცაა რომ გულგრილობით უურებს საავთმოფთოს და ძალიან ხშირადაა, რომ შორი ქვეყნიდან მისული მუშა ხალხი ავთმოფთობის დროს უფრო სახლისკენ მიეშურება და საავთმოფთოს კი ვერც და უფლის, რადგან არ ელის შესაფერ ზატონობას. ცხადია, რომ თუ კი საავადმყოფო სასურველ ზარობებში იყოს, ხალხიც საიმედოებით მიადგებოდა მის კარებს, ერთი, ერთი დაწესებულებანი, რომელთაც რაიმე სარგებლობა მოაქვთ—ეს ჭიათურის თეატრი და საკვირაო სკოლაა, განსაკუთრებით კი თეატრი თავის მოკლე ხნის არსებობაში ძლიერ ეთვისება და უსილოდება მუშა ხალხს. დღევანდელი დამოკიდებულება თეატრსა და მუშა ხალხს შორის სწორეთ იმის მიხედვებულებათ, რომ თან და თან ძლიერდება ხალხის გულში მისდამი მისწრაფება, მისი საფარულია. არა ერთი დაწესებულება ეს მაგალითებით ჭიათურის მუშებს; თან და თან მეტა ხალხი ესწრება სახალხო წარმოდგენებს. უკანასკნელი წარმოდგენის დროს (მისხვერბელი მისხვერბელისათვის), მუშებით აივსა თეატრი. ატრეცებაში მოდებართ, როგორც შავი ქვათ გაკურულ მუშებს ხედავთ თამაშთ დოკუმში ჩამწყ-

რეგულთ, რომელნიც გაფაციცებით ადგენებენ თავის უფველ მოქმედებას სტენაზე. რომ უფრო მეტათ დაუსილოდეთ ხალხი თეატრს. სასურველია ხშირათ იმართებოდეს ხოლმე ოფიციალური სახალხო წარმოდგენა. რაგანა შესაძლებელია ბიესათა დადგენა საჭარო, ზოგიერთი ჩეენი უმნიშვნელო და უმნიშვნელო ბიესები განდევნალ უნდა იქნას სტენიდან, რადგან არაფრის დახმარება არ შეუძლია ხალხისათვის, გარდა უსარგებლო დროის დაკარგვისა. სტენაზე არსოდეს არ უნდა გამოდიოდეს ის ბატონები, რომელთაც არტისტული ნაჭი სრულიათ არ აქვთ. მსახიობნი მუდამ უნდა ფრთხილათ ეკიდებოდენ საქმეს. მოუმზადებელი დამახინჯებული თამაშით მეტს აფრებენ საზოგადოებას ..

დროებით ჭიათურელი.

სოფ. იანეთი. ეს ორი წელიწადია, რაც ჩვენს სოფელში საგრძობლათ გამოადგება და შესამჩნევი ნაბიჯიც წასდგა წინ; ბარეკლათ ერთმა საურთაღებო წინადადებას გამოარჯვა შარშან, და დიდი ჭასიაშელებთან ერთათ ჩვენს სოფელშიც დააარსა საზოგადო ქსენობი.

იმვე წელსვე ითხოვა საზოგადოებამ ერთათ ერთა სკოლის გადაკეთება ორ კლასიანათ და სასრულეშიაც მალე მოიყვანეს. რადგანაც სკოლამ ვერ დაატია ამდენი მოსწავლე, ითხოვეს საკუთრათ იანეთლებმა მეორა სკოლა და დააარსეს კიდევ ორი განყოფილებით და ორი მასწავლებლით.

ეს მაგალითი თვალსაჩინოთ ხდის, თუ რამდენათ ძლიერი სახლში სწავლის სურვილი.—უწინ თუ მწყესობაში და მეხრეობაში უგრავდენ თავს უსუსურ ბავშვს, დღეს ხალხლათ ამის სკოლაში გზავნიან და აუცილებელ საჭიროებათაც თვლიან ამას.

წელს ხალხმა საჭიროთ დაინახა ძველი სკოლის ხის შენობა გაეთავრთალებათ, რადგან მოსწავლეთა რიცხვმა ერთი-ორათ იმატა.— წარუდგინა საზოგადოებას მშენებელი აგურის შენობის გეგმა თავისი ხარჯთ აღრიცხვით. ეს მოხდა 25 აგოსტოს. რასაკვირველია, ჩვეულებრივ, როგორც უფველ საკუთილო საქმესა, ამასაც ბევრი აღმორუნდა მოწინააღმდეგე, მაგრამ ცოტა ხნის მსჯელობის შემდეგ ერთხმათ მიადეს წინადადება და შენობისათვის ჯერ-ჯერობათ 2000 მანეთი გამოედეს. ბ. ი. კახრეიძემ მამინვე წამოიღო საზოგადოებას დადგენილება და გეგმისთან ერთათ წარუდგინა ბ. სახალხო სკოლების ინსექტორს განსახილველათ. ინსექტორმა ატრეცებით მიიღო ეს მშენებელი გეგმა და აღეთქა იმუამდგომლებს მთავრობისთან, რომ 1000 მანეთი მანაც შეეწიონ ხალხს. იმედია ამის შემდეგ ეს სიმშატიური საქმე სასურველათ დაბოლოდება და უდრმეს მადლობასაც მიიღებენ ხალხის გულიდან ის ზირნი, რომელნიც თანავრძობითი მოკიდებობის ამ მოზარდ თაობის სწავლა-განათარების საუხრეს.

7 სექტემბერს გამოართა სახალხო წარმოდგენა, რასაც სამწყხართ უმანიდობისა გამო ხალხი ცოტა დაესწრო, მაგრამ მანაც მადლობის დირსნი არაან უფლა მისი გამართველ-მონაწილენი და იმედა გვაქვს კვლავც არ დაიშურებენ შრომას.

ალ. ილიაძე.

სიხარული.

(ან. ჩხვივისა).

ღამის თორმეტი საათი იყო. მიტია კულდაროვი, აღელვებული და თმა-აბურძღვული შემოვარდა თავის მშობლივის სახლში და მორთო სირბილი იქით-აქეთ ოცახებში. მშობლები ის იყო დასაწოლათ ემზადებოდენ. მიტიას და ლოგინში იწვა და რომანის უკანასკნელ გვერდს ათავებდა. ძმებს—გიმნაზიელებს ეძინათ.

— საიღან მორბინარ? რა დაეკმარა? ვაიკვირვეს მშობლებში.

— ახ, ნურას მკითხავთ! სრულებით არ მოველოდი! არა, სრულებით არ მოველოდი! ეს... ეს დასაჯერებელიც არ არის!

მიტამ გადინარხარა და ჩაჯდა სავარძელში, რადგანაც მეტის-მეტი ბედნიერებისაგან ფეხებზე ვერა დგებოდა.

— არა, ეგ დაუჯერებელია! ვერ წარმოიდგენთ! თქვენ ერთი შეხედეთ! მიტიას და წამოვარდა ლოგონიდან, წამოიხურა საბანი და მივიდა ძმასთან. გიმნაზიელებსაც გამოეღვიძათ.

— რა დაგემართა? სახე რას გიგავს?

— ეს, დედილო, მეტის-მეტი სინარულისაგან არის! ახლა ხომ მთელი რუსეთი მიცნობს! მთელი! უწინ მხოლოდ თქვენ იცოდით, რომ ამ ქვეყნათ ცხოვრობს კოლეესკი რეგისტრატორი დიმიტრი კულდაროვი, ახლა კი მთელმა რუსეთმა იცის ეს! დედილო! ოხ, ღმერთო!

მიტია წამოვარდა, შემოირბინა მთელი ოთახები და ისევ დაჯდა.

— რა იყო, რა ამბავია? ერთი კარგათ გავვაგებინე!

— თქვენ ველურებსავით ცხოვრობთ, გაზეთებს არ კითხულობთ, ახალ ამბებს არავითარ ყურადღებას არ აქცევთ, და გაზეთებში კი რამდენი შესანიშნავი რამ არის! არაფერი არ დაიფარება, რაც კი რამ მოხდება. რა ბედნიერი ვარ! ოხ, ღმერთო! გაზეთებში ხომ მარტო შესანიშნავ ადამიანებზედა სწერენ. აქ კი აიღეს და მეც ზედ მიმაწერეს.

— ხუმრობ? სადა?

მამა გაყვითლდა. დედამ ხატს შეხედა და პირჯვარი გადისახა. გიმნაზიელები წამოვარდნენ და პერანგის ამარა მივიდნენ ძმასთან.

— დიახ, ჩემ შესახებ დაბეჭდეს. ეხლა მე მთელი რუსეთი მიცნობს! თქვენ, დედილო, ეს ნომერი შემინახეთ სამახსოვროდ? ხანდისხან წავიკითხავთ. შეხედეთ!

მიტამ ამოათრია ჯიბიდან გაზეთის ნომერი, გადასცა მამას და თითოთ აჩვენა ის ადგილი, სადაც ლურჯი კარანდა-შით იყო აღნიშნული.

— წაიკითხეთ!

მამამ სათვალეები წამოიკცვა.

— აბა წაიკითხეთ!

დედამ ხატს შეხედა და პირჯვარი გადისახა. მამამ ჩაახველა და დაიწყო კითხვა.

— ოო 29 დეკემბერს, საღამოს თერთმეტ საათზე, კოლეესკი რეგისტრატორი დიმიტრი კულდაროვი...»

— ჰხედავთ? ჰხედავთ? მერე!

...კოლეესკი რეგისტრატორი დიმიტრი კულდაროვი გამოვიდა ლუდხანიდან, რომელიც პატარა ბრონის ქუჩაზეა, კოზნიხინის სახლში, და მთვრალია...

— ეს მე და სემიონ პეტროვიჩი ვიყავით... ერთი იოტიც არ არის გამოტოვებული! მერე! ყური უგდეთ!

...დამთვრალია წაპკრა ფეხი და ერთი „იზოლშიკის“ ცხენს ქვეშ მოექცა. ეგ „იზოლშიკი“, ივანე დროტოვი, სოფელ დურიკინოს, ივუნოვის მაზრის მცხოვრები არის. ცხენი დაეფეთა, კულდაროვს ტანზე გადაუარა მარხილიანა, რომელშიაც მოსკოველი მეორე გილიის ვაჭარი სტეფანე ლოკოვი იჯდა, და გაჰქანდა ქუჩაზე, ბოლოს მეფხოვებმა დააკავეს. კულდაროვი ჯერ უგრძობლათ ეგდო, პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს და ექიმს შეამოწმებინეს, კეფა ცოტა დაშავებული აქვს...

— ხელნას მივარტყი, მამილო! მერე! მერე დაათავეთ!

...ცოტა დაშავებული აქვს, მარა მძიმე ქრილობებს არ

ეკუთვნის, ოქმი შედგენილია. კულდაროვს ექიმებმა დახმარება აღმოუჩინეს“

— კეფა მალ-მალ დაისველე ცივიწყლით! ხომ უნდა ვთხეთ? ა? ხომ ხედავთ! მთელმა რუსეთმა გაიგო! ქველს! ქველს! ქველს! მიტამ სტაცა ხელი გაზეთს, დაკეცა და ჯიბეში ჩაიღვა.

— ერთს მაკაროვებისას მივირბენ, ვაჩვენებ. ივანიცკებსაც უნდა ვანახო. ნატალია ივანოვნას, ანისიმ ვასილიჩს... მივირბენ! მშვიდობით!

მიტამ დაიხურა „კაკარტიანი“ ქუდი და გამხიარებულ-გაბრწყინებული ქუჩაში გავარდა.

მ. შემოქმედელი.

ნაკერძოკლები

ახალი აღმოჩენა „ივერიის“ მეფე. — ორა „რქი“ ორი „მოდგაწის“. ბ-ნი ვაკელი და მკვლარი ვირო.

დიდებულს შექსპირს რო ცოდნოდა, რომ კერძოდ საქართველოს და საზოგადოდ მთელს კაცობრიობას ოდესმე მოეცლინებოდა ისეთი გაზეთი, როგორც „ივერია“, რაღა ღმერთი გაუწყობდა და ჰამლეტს რაღა წარმოათქმევინებდა: „ოო, ჰორაციო, ბევრი რამ ხდება ისეთი, რაც ჩვენს ბრძენებს სიზმარშიაც არ მოლანდებიათო!“ ოო, მართლაც, რა უნდა ხდებოდეს დედამიწაზე ისეთი, თუ „ივერიის“ თავის მეცნიერულ ჰახრაკში არ გაეტარებინოს, არ გაერკვიოს, არ აეხსნას! რა ისეთი ავადმყოფი ადგილი უნდა იყოს ერისა, რომ მან თავისი „მადლიანი ხელი“ არ დაკრას და არ თქვას: აი, ხალხო და ჯამათო, ამ ალაგს უნდა წამოლობა და განიკურნება კაცობრიობაო. (რა და რა აღმოჩენა გინდათ, რომ „ივერია“ არ აღმოვიჩინოს! აღმოვიჩინა, როგორ უნდა გავმდიდრდეთ; აღმოვიჩინა—თუ როგორ უნდა გავრცოთ სომხები; აღმოვიჩინა, თუ ჩვენი მოწინავე წოდება როგორ ღარიბდება; აღმოვიჩინა... მარა რომელ მიწიერს ძალუძს ჩამოთვლა იმისა, რაც ჩვენ „ივერიამ“ აღმოვიჩინა! მაინც ნამეტანი ვანცვაფრებულა მთელი ქვეყანა „ივერიის“ ახალი აღმოჩენით, რომელსაც სახელათ ეწოდების „ვინ უნდა მოსპოს დანაშაულობანი“. ამ დრომდის, ე. ი. „ივერიის“ ამ ახალ აღმოჩენამდის, დანაშაულობანი—ქურლობა, ავაზაკობა და სხვები უმთავრესად მეცნიერებს სოციალური პირობებისაგან გამოწვეული ეგონათ. მაგრამ აქ რა შვაშია, თურმე, რალაც სოციალური პირობები!.. თავი და თავი საქმე სულ სხვა რამეში ყოფილა, სახელდობ—სოფლელთა წინამძღვრებისა და მოთავეების უფარგისობაში!.. არ გჯერათ თუ? აბა ყური უგდეთ სიბრძნესა „ივერიისას“:

„ერთად ერთ მიზეზათ ჩვენებური კაცის წახდომისა (ე. ი. იმისა, რომ მკვლელობა ხდებოდა) ჩვენ ვთვლით სოფლელთა მოწინამძღვრებისა და მოთავეების უფარგისობას. ეს ვაქბატონები სმა ქამისა და ლოთობის მცეს, თითქის, არას აკეთებენ, ხალხს არ უქადაგებენ, არ ასწავლიან. არ სთესვენ ერში სახარების უქნობებს თესლს. ყოველს მოვხშეს, ყოველს გაიძვერას იმეგობრებენ და ითვისებენ და ამ მგლების შესაქმელათ სტოვებენ მდაბიოთ, მცირებულოთ“. („ივერია“ № 196).

ეჰე, ეგეც თქვენ, ევროპის მეცნიერებო! ამის შემდეგ კიდევ დაგვიწყებთ რალაც რთულ პირობებზე დაპარაკს! გტყიკათ თუ არა „ივერია“ მეცნიერული სილა! ახია თქვენზე!..

ამას გარდაც ყოფილა კიდევ ერთი მიზეზი. „ამას გარდა ჩვენი სოფლის მოთავე კაცები, მოწინავენი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ თავიანთ შვილების და ახალგაზღვების (შვილები არ შვიძლებოდა, თურმე, ახალ-გაზღვები

იყვენ) გაწოვნას, განათლებას. პატარაობისას მით აყვიზინებენ, ანებივრებენ. ეს გაყვინიზებულ-განებივრებული ორსამს კლასს ძლივს ასრულებენ და მერე სოფელს უბრუნდებიან მის შესაქმელათ, სახრავათ; სხვა რა აკეთონ, როდესაც არა იციან რა, კაცურ კაცობისა არა შეუგნიათ რა“.

და აი, „მოწინავეთა“ შვილები, „რომლებმაც არა იციან რა, კაცურ კაცობისა არა შეუგნიათ რა“ უნდა გახდნენ მომავალში, თანახმად „ივერიის“ აღმოჩენისა, ჩვენს მოწინავეთ, მედროშეთ!..

ვაი, ძმა „ივერია“,
 თმაში თეთრი გაკურნა,
 მარა მაინც სულ ბავშვდები,
 გზა და კვადი აკურნა!..

და ბევრი არს ცოდვილსა ამას დედამიწის პირსა ზედა, რომლებსაც არა თუ თმაში თეთრი გაერია, სულ თოვლსავით გაუსპეტაკდა თმა და წვერი, მარა გზა და კვალი მაინც აერია. მოგეხსენებათ, რომ ჩვენს „მოწინავე წოდებას თავსამტვრევ საგნათ გაუხდა უმაღლესად ნაბოძები ფული, ექვსი თვე (თუ მეტი არა) იკამათეს ამ ფულების დანიშნულების შესახებ: ხაიხო და ჯამათო, ფულები გვაქვს, აღძვრით ბაგენი და გვასმინეთ, თუ რომელი კუთხე ქვეყნისა ავაშენოთ ამ ფულებითო. და აღძრა კირილ ზეჟანიჩმა ბაგენი თვისნი და აუწყა კრებასა: ფულებითა ამით განვაძლოთ სტუდენტნი, რომ არ გაიფუქონ საბოლოოთ ჯანმრთელებანი თვისნი და არ შეიძინონ კაცობრიობის ეხლანდელი სენი, რომელიც იწოდების კატარად კუჭისა! ხოლო რა მოვიმოქმედებთ ამასა, ამით შევძენთ ქვემარტსა მეცნიერებასა ქვეყანასა ჩვენსა. მე ვარჩევ ერთ უმაღლეს სწავლა დამთავრებულსა 20 წერა-კითხვის მცოდნესა (და აი, აქ აერია გზა და კვალი საზოგადო მოღვაწესა და დიდებულათ უარყო მეორე ღღეს ნათქვამი ესე თვისი ნ.). ამინ. ამინ გეტყვი თქვენ, რომ მე მირჩვენის მილიონსა მჯღაბნელსა სტუდენტი იგი ასი. და ვინაიდგან მე მირჩვენის მეცნიერნი და სპეციალისტნი მრავალ-რიცხოვანსა საშუალო და დაბალ სწავლა მიღებულთა გვამთა *), ამისათვის ყურათ იღეთ და ისმინეთ ჩემი. და დაჯდა მოხუცი ესე. და წარმოსდგა ახალგაზდა კაცი ვინმე მოწინავე, ახალგაზდა გარეგნობით და მოხუცი თავითა თვისითა, აღმომჩენელი ბედკრულსა ჩვენსა ქვეყანაში ბაირონისა და შექსპირისა, ალალო ბაგენი თვისნი და ლაღდყო: ვუკრავ რა კვერსა ნათქვამსა კირილესსა, დავძენ: ფულებითა ამითა საყოველთაო განათლებათა ვერ შემოვიღებთ **), ხოლო სწავლულებსა კი მოვეუზადებთ ქვეყანასა ჩვენსა. და დაჯდა ახალგაზდა მოხუცი იგი და დადუმდა კრება იგი. მარა, ჰოი საკვირველებო! ყურად არ იღეს „რეჩნი“ ორისა მოღვაწისა და გადასწყვიტეს დაარსება სკოლისა „მჯღაბნელებისათვის“ და უთხრეს ლექსი ესე ძილისა პირის ხმაზედა კირილესა და კიტასა:

ამინ, ამინ ვეტყვიო ჩვენცა
 კიტასა და კირილესა!
 რადგან ერთსა შეტს აძლევენ
 და შეტრეს არაფერსა,

*) ბ-ნ კირილეს გონებია, რომ თუ კაცმა უნავერსიტეტი დაასრულა, მორჩა და გათავდა, იგი მეცნიერიც არის და მარილიც ამა სოფლისა! დალოცვილმა რტომ ქუთაისში არ მიხედ-მოიხედა: რამდენია იქ უმაღლეს სწავლ-დასრულებულნი, რომელნიც მარტილი სოფლისა კი არა, ძმარიც ვერ არიან!..

**) ვაი, გაუგებრობასა კიტასას! ვინ მოახსენა, რომ სკოლის დაარსებით საყოველთაო სწავლა-განათლებას შემოვიღებთო! მას უთხრეს, რომ მით შევუკარებთ სკოლის გარეთ დარჩენილთა რიცხსაო.

შენიშვნა ასოთ-ამწყობისა.

მიტომ ნუწას უკაცრავათ,
 რამ მათ „რეჩებს“ წიხლი ჰკრეს!..

ბიძია არქიფო და ლენკა.

ამ ნაირათ ჩაფლავდა „რეჩნი“ ჩვენს მოღვაწეებსა კირილესი და კიტასი. და ამ „ჩაფლავებასა“ მეტად გაუბრაზებია ვინმე ვაკელი, კაცი ფრიად მეცნიერი, ახლად მოვლენილი და მას აღმოუჩენია, რომ ჩვენ ვცხოვრობთ... აზიის შუა გულში! ეს დიდებული აღმოჩენა შთაუბერია მისთვის ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის 4 სექტემბრის დადგენილებას. რადგან ჩვენი „მოღვაწეების“ კირილესა და კიტას „რეჩები“ ყურად არ იღეს, რადგან მათ გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები, ამიტომ ჩვენ ვართ ველოური, ამიტომ ვცხოვრობთ შუა აზიაშიო... ასე ბძანებს აწ აზიელი ბ. ვაკელი: „უკანასკნელმა ჩვენი თავად-აზნაურობის დადგენილებამ ჩვენში ყოველი ეჭვი გაფანტა და ღრმად დამარწმუნა, რომ ჩვენ შუაგულ აზიაში ვცხოვრობთ და მივსდევთ აზიურ მხედულებას და ტრადიციებს“-ო... თქვე საცოდავო კირილე-კიტას მოწინააღმდეგეო, იწოდეთ სირცხვილით, კინაიდგან თქვენი მიზეზით ქართველობა გადასახლებულ იქნა შუა-გულ აზიაში, ვითარცა ყოველგვარ კულტურას მოკლებული ერი... ოოო, ფრიად მეცნიერო ვაკელო და „ივერავ“... რა რიჯ სასტიკათ მოექცეით ქართველობას...

და განა მარტო ეს აღმოაჩინა ბ-ნმა ვაკელმა? განა დიდებული ნიჭი მარტო ამ აღმოჩენით დაკმაყოფილდებოდა! მან აღმოაჩინა, რომ ამ ათიოდე წლის წინათ, როცა ბ-ნი ასათიანი გააშავეს ქუთაისის ქალაქის თავბაზზე, ეს ყოფილა... აბა თუ მიხვდით—ვისი ბრალია? ბრალი... „ცესეთის ქუჩის მოსახვევში.. ტალახში ჩავარდნილი მკვდარი ვირისა“!.. აწ იძრწოდეთ შიშითა წინაშე მკვდარი ვირისა, ქალაქის თავნო! იძრწოდეთ, ვინაიდგან ვაკელის აღმოჩენით დიდყურასა ძალუმს გაშავება თქვენი და ისიც მკვდარსა!..

ნაპერ წყალი.


ბიძია არქიფო და ლენკა.

(მ. გორისა).

ისინი ორავენი ფოთის ნაპირას ჩრდილში წამოწვენ, ბორანს უცდიდენ და დიდ-ხანს მიჩერებოდენ გაჩუმებულები მდ. ყუბანის სწრაფ და მღვრია ტალღებს, რომლებიც მათ ფეხებთან შხაპუნობდენ. ლენკა, ჩათვლიმა, ბიძია არქიფო ვერ იძინებდა, რადგანაც მკერდში მწვავე ტკივილსა გრძნობდა, გულზე აწვებოდა. მუქ-ჯვრის ფერ ალაგზე ოდნავ განიჩრეოდენ მათი დამონძილი და დაკრუნჩხული სხეულები, თითქოს—ორი,—სიბრალოლის აღმძვრელი—გუნდა ძვესო, რომელთაგან ერთი მოზრდილი იყო, მეორე მომცრო. მათი დაღლილი და დღიურ სიცხისაგან გარუყული, გამტვრიანებული სახეები ფერით სწორეთ იმ შავ-მოწითლო კანკებს ემსგავსებოდენ, რომლებითაც მათი სხეული იყო დაფარული.

ბიძია არქიფოს ჩამოტყვეპული და მაღალი ტანი გაქიმულიყო ქვიშის ვიწრო ზოლის გარდი-გარდმო, რომელიც ფლატესა და მდინარეს შორის კიდევ უფროელი ლენტეხით იძაფებოდა, ხოლო იქვე მისს გვერდით მწოლარე ძონძებში გახვეული პატარა ლენკა ემსგავსებოდა დაღმეტილს როქს, რომელიც მოსტეხია თვის ბიძიას—ძველს, გამხმარს ხეს, მდინარის ცივ და ძლიერ ტაღილათაგან მოტანილს და აქ, ქვიშაზე გამოტყუორცნილს.

ბიძია ნიდაყვზე დაეყრდნო, თავი მალა ასწია და მზე-რა იწყო პირის-პირ მდებარე კიდესკენ, რომელიც მზეს მოეცვა და გარს შემოხვეოდა ტრიფის არა-ხშირი ბუჩქნარი, რომლიდანაც, ერთ ადგილს, ბორანის შავი ქიმი გამოსჩანდა.



იქ სიცალიერე და მოწყენილობა სუფევდა. გზის ნაცრის ფერი ზოლი მდინარედან მინდვრის შორეულს სივრცეში მიჰყვებოდა; იგი როგორღაც შეუბრალებლივ სწორი და მშრალი იყო და ამით ბიძიას სასოწარკვეთილებას გვრიდა.

მისი ჩასისხლებული და მიმქრალი თვალები, წითელი, დასივებული ქუთუთოებით, მოუსვენრათ და საცოდავთ ხამხამობდენ, ხოლო დაღრეჭილი სახე მიმკვდარებოდა; ზედ ემჩნეოდა, რომ ტკივილებსა და კაემანს მოექანცათ იგი. ის ხშირათ ახველებდა, პირზე ხელს იფარებდა და მოუსვენრათ მიჩქრებოდა შვილის-შვილს. ხრინწ-მორეული ხველით სულ-შეგუბებული წამოიწედა ხოლმე საბრალო და თვალთავან ცრემლები სხვილ წვეთებათ სცივოდა.

მისი ხველისა, ქვიშაზე ტალღების ჩუმი შრიალის გარდა, მინდორში არა გვარი ხმაურობა არ იყო. ვეებერთელა, შავ-მოწითლო, მზისაგან დამწვარი მინდორი გაქიმულიყო მდინარის ორივე ნაპირას და მხოლოდ იქ, შორს, ცის კინკროზე, დიდებულათ მღელვარებდა, მოხუცის თვალთავან ოდნავ შესამჩნევი, ყანების ოქროს ზღვა და სწორეთ მასში თვალის-მოამქრელათ მოკაშკაშე ცა. მასზე გამოხატულიყო შორეული ქანდრების სამი მოყვანილი ნაკვთი; ისინი, თითქოს, ხან პატარავდებოდენ, ხან მალღდებოდენ; ცა და ცა-გადახურული ყანები-კი ირყეოდენ, აიწეოდენ და დაიწეოდენ... ან უცებ ყოველივე მიიმალებოდა ხოლმე მინდვრის საფთხულის ბრჭყვიალა, ვერცხლის სუდარას უკან...

ეს კაშკაშა და მაცდური სუდარა ხან და ხან შორი სივრციდან მდინარის მოციმციმე კიდეს ატყდებოდა და მაშინ თვითაც მდინარეს ემსგავსებოდა; თითქოს იგი უეცრათ ციდან ჩამოხეთქილაო; ეს მდინარე ცასეებრ წმინდა და მშვიდი იყო და, თითქოს იმიტომ გაჩენილიყო, რომ საცხისაგან ტანჯული მინდორი განეცოცხლებინა. მაგრამ... იგი იკარგებოდა...

მაშინ ბიძია არქიფო, რომელსაც არ ენახა არც მინდორი, არც ეს მოვლენა (იგი ველიკოროსი იყო) და ეხლაც სიმშობის გამოეძევიბინა აქეთკენ, — თვალების შუშუნით თავისს შესახებ ნაღვლიანათ ფიქრობდა, რომ ეს სიცხე და მინდორი აკარგვინებდენ მას მხედველობას, როგორც დააკარგვინეს მუხლებში დარჩენილი ძალა; ეხლა ხომ აღარ, შეუძლიანთ მისს ფეხებს ჩვეულებრივ დღე კი 30 ვერსტის გავლა, ეხლა ხომ ამის ნახევარსაც ძლივს გაივლიან.

ამ უკანასკნელ დროსთან შედარებით, დღეს იგი უფრო ცუდს გუნებაზე იყო. ის გრძნობდა სიკვდილს სიახლოვეს და ამას ის სრულიათ უდრტვინველიათ და გულ-გრილათ უყურებდა, როგორც აუცილებელ ვალს, მაგრამ მას სურდა სიკვდილი შორს, ორლოვის გუბერნიაში. შვილი-შვილის შესახებ ფიქრი ხომ მას ძალზე აწუხებდა... რომელ კუთხისკენ მიაგდებს ლენკას ცხოვრების ნავიო?... ამ კითხვას იგი დღეში რამდენიმეჯერ იყენებდა წინ და ამ დროს მასში მუდამ რაღაც იკრუნჩხებოდა, ცივდებოდა; იგი ისეთს ცუდს, სასიზღარს გუნებაზე შეიქმნებოდა ხოლმე, რომ სურდა იმ საათშივე დაბრუნებულიყო შინ, რუსეთში...

მაგრამ მაშინ აგონდებოდა ყირიმი, მოტვლებილი მინდვრები, ტლიანქი და უწყალო ჩობნები, მათი უშველებელი ბოროტი ძაღლები, მშფოთარი და ხარბი თათრები და რომელიღაც შემთხვევა—მას რომ ტამანში გადახდა, — შემთხვევა, რომლის გამოც მან და ლენკამ კინალამ საპყრობილეში ამოყვეს თავი.

და შემდეგ—შორს, რუსეთში წასვლა... სულ ერთია ვერ მიაღწევს და სადმე გზაში მოკვდება. აქ, ყუბანზე მოწყალებას უხვათ იძლევიან; აქ ხალხი შეძლებულია, თუმცა

მძიმე და დამცინავი. მთხოვრები არ უყვართ, რადგან თვით მდიდრები არიან.

ლენკასთვის შეიძლება სხვა რამე მოვიფიქროთ... მისი თია, იგი ობოლია აქაც და შინაც, რუსეთში.

და, რა მიაჩნდა შვილი-შვილს თვისი ცრემლ-მორეული თვალებით, ბიძიამ ფრთხილათ გადაუსვა მას თავზე თავისი ხორკლიანი ხელი.

ლენკა შეინძრა და მიაპყრო ბიძიას თვისი მტრედის ფერი, ღრმა, ჭკვიანი თვალები, რომლებიც უფრო დიდათ მოჩანდენ მისს წვრილ, მინდვრის ქარ სიცხისგან დახეთქილ ტუჩებით და წვეტიანი ცხვირით შემკულ დაკენკილ სახეზე.

— მოდის? — კითხა მან და, რა მიიფარა თვალებზე ხელი, მდინარეს შეხედა, რომელიც მზის სხივებს ცივათ აოტებდა.

— არა, ჯერ კიდევ არ მოდის. დგას. რა უნდა მას აქ? არავინ უძახის და ამიტომ დგას იგი თავისთვის... — ნელა დაილაპარაკა არქიფომ, თან შვილი-შვილს თავზე ხელს უსვამდა. — სთვლემდი შენ?

ლენკამ გამოურკვევლათ გააქნია თავი და ქვიშაზე გაიშოტა. ივინი გაჩუმდენ.

— ცურვა რომ მკოდნოდა, ვიბანავებდი, — სთქვა ლენკამ, თან თვალს არ აშორებდა მდინარეს. მისი ხმა იყო უცნაურათ ყრუ და გამოთქმით ღარიბი.

— ეს მდინარე ძალიან ჩქარია! ჩვენში ამგვარი მდინარეები არ იცის. რას თამაშობს? გარბის, თითქოს დაგვიანებისა ეშინიაო...

ლენკამ უკმაყოფილოთ შეაქცია ზურგი მდინარეს.

— მოდი, ქამრები შემოვიხსნათ, გადავაბათ, ფეხზე მოგაბამ, შენ ჩადი და იბანავე... — მოფიქრების შემდეგ დაილაპარაკა ბიძიამ.

— ი-იი!... — საბუთიანათ უკიჟინა ლენკამ. — რა გამოიგონე! გგონია ვერ ჩავითრევს? ორივენი დავიხრჩობით.

— ნაპირთან... მართალია კია აი! ჩამითრევს. გაზაფხულზე რა აღიდება ეცოდინება? სათიბსაც უჭირს აქ!..

ლენკას არ სურდა ლაპარაკი და ბიძიას სიტყვები უპასუხოთ დასტოვა, ხელში აიღო მშრალი თიხის გორიხი და თითებით ფშხენა დაუწყო.

ბიძია მიჩერებოდა მას, თვალებს ხუჭავდა, თან რაღასაც ფიქრობდა.

— აი მომ... — ნელა დაილაპარაკა ლენკამ, თან მტვრიან ხელებს იბერტყავდა, — მიწა ეხლა ეს!.. ავიღე იგი, დავფშხენ და მტვრათ იქცა... ერთი-ცახე ნამცეცები-ლა არიან, თვალით ოდნავ მოჩანან.

— მერე რა არის? — კითხა არქიფომ და ჩაახველა, თან ცრემლ-მორეული თვალებით მიჩერებოდა შვილი-შვილას დიდ, მოვლვარე თვალებს და გამხმარ, წვეტიან სახეს.

ისე... — ჩაიქნია ლენკამ თავი — ისა, რომ იგი მთლათ, აი როგორია!.. — მან ხელი გაიქნია მდინარისაკენ. — და ყველაფერი ზედ არის აშენებული... რავდენი ქალაქი გამოვიარეთ! ბევრი! ხალხიც ყველგან რავდენია!

ლენკა ხელ-ახლათ გაჩუმდა და აქით-იქით იწყო ცქერა, რადგან არ შეეძლო თავისი აზრი დაემთავრებია.

ბიძიამაც ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ მისკენ მიიწია და შემდეგ აღერსიანათ დაილაპარაკა:

— ჩემო ჭკვიანო! მართალი სთქვი — ყველაფერი მტვერია... ქალაქებიც, ხალხიც და მე და შენც — სულ მტვერით ვართ. ეჰ, შენ, ლენკა, ლენკა!.. შენ რომ წერა-კითხვა გესწავლა!.. შორს წახვედი! დიდებით მსჯელობ ყველაფრის შესახებ... შენ მცივანა, ღვთის ფრინველი ხარ!.. ვინ იცის, რა მოგეღის?..

ბიძიამ მისი თავი გულში ჩაიკრა და გადაკოცნა.

— დაიცა!...—განთავისუფლა—რა თვისი სელის მსგავსი თმა ბიძიას დაღმევილ, მთრთოლვარე ხელისაგან, ლენკამ ცოტა თამამათ შესძახა—როგორ ამბობ? მტვერია? ქალაქებიც და ყველაფერიც?

— ეგრეა, მტრედო, ღვთისაგან დაწესებული. ყველაფერი—მიწაა, თვით მიწა კი—მტვერია. და ყველაფერი კვდება... ასე! და ამიტომ, კაცმა შრომით და თავმდაბლობით უნდა იცხოვროს. აი მეც მალე მოვკვდები...—სთქვა ბიძიამ და ნაღვლიანათ დაუმატა:—მაშინ სად წახვალ შენ უჩემოთ?

ლენკას ხშირათ, ესმოდა ბიძიასაგან ამ გვარი კითხვა და მას უკვე საკმაოთ მოსწყინდა სიკვდილის შესახებ მსჯელობა, ამის გამო ჩუმათ აბრუნა გვერდი, მოგლიჯა ლუკმა, პირში ჩაიღო იგი და ნელა დაიწყო ლეჭვა.

მაგრამ ბიძიასთვის ეს ფიქრები ძლიერ მტანჯველები იყვნენ.

— რას სდუმხარ? უჩემოთ როგორ იქნები—მეთქი?—ნელა კითხა მან, დაიხარა შეილი-შვილისკენ და ხველა გააბა.

— გათხარი უკვე...—დაბნეულათ და უკმაყოფილოთ წარმოსთქვა ლენკამ, თან ცალი თვალთ მიჩერებოდა ბიძიას.

მას კიდევ იმიტომ არ მოსწონდა ამ გვარი ლაპარაკი, რომ იგი ხშირათ ჩხუბით თავდებოდა. ბიძია დიდხანს გააბამდა ხოლმე თვისი სიკვდილის შესახებ ბაასს. ლენკა ჯერ ყურადღებით ისმენდა, ეშინოდა, რომ სხვა გვარ გარემოებაში ჩავარდნა მოელოდა, სტიროდა, მაგრამ თან და თან იქანცებოდა—და მერე სულ წინააღმდეგ გუნებაზე შეიქნებოდა ხოლმე: იგი ყურს აღარ უგდებდა ბიძიას, თვის ფიქრებს ეძლეოდა; ბიძია კი, რომ შენაშნაუდა ამას, ჯავრობდა და ეუბნებოდა, რომ მას, ლენკას, არ უყვარს იგი: სულელია, არ აფასებს მის მზრუნველობას. და ბოლოს იქამდის მიდიოდა, რომ ლენკას უსაყვედურებდა ხოლმე, ვითომ მას სურდა ბიძია ჩქარა მომკვდარიყო.

— რა მითხარი? ჯერ კიდევ სულელი ხარ, არ შეგიძლიან გაიგო შენი ცხოვრების პირობები. რავდენი წლისა ხარ? მეთერთმეტე წელში ხარ. სუსტიცა ხარ, მუშაობისთვის გამოუსადეგარი. სად წახვალ? გგონია კეთილი ადამიანები გიშველიან? ფულები რომ გქონოდა, დახარჯვაში კი მოგემარებოდნენ ისინი—ეს ასეა. მოწყალეების თხოვნა კი ჩემთვის მოხუცისათვისაც არ არის სასიამოვნო. თვითეულს საღამო მიეც, თვითეულს ემუდარე. გაგინებენ, ხან კიდევ გცემენ, გაგდებენ... იქნებ, გგონია მთხოვარს ადამიანათ სთვლიდენ? არავინ! ათი წელიწადია ქვეყნად დავიარები—ვიცი. ლუკმა პურს ასს თუმნით აფასებენ. მოგცემს, და გონია, მას იმ საათშივე გაუღებენ სამოთხის კარებს. შენ როგორ ფიქრობ, უფრო რისთვის იძლევიან? რომ თავიანთი სინდისი დაიმშვიდონ; აი რისთვის, მეგობარო; და, კიდევ სიბრაღეულის გამო! მოგიჩივებს ლუკმას, მაშინ თვითაც აღარ სცხვენია, რომ ჰამოს. მაძლარი ადამიანი—მხეცია. მას მშვიერი არას დროს არ ებრალებს, რადგან ვერ იცნობს მას. მაძლარი და მშვიერი მტრები არიან; ივინი ერთმანეთისათვის უკუნითა უკუნისამდე ასე იქნებიან, როგორც თვალში ეკალი. ამიტომ შეუძლებელია, რომ მათ ერთმანეთი ებრალებოდეთ და ერთმანეთს იცნობდენ... მთხოვარი მაძლრისთვის, როგორც ქუქკი, ისეა.

საბოროტემ და ნაღველმა ბიძია გააგულისა, ამის გამო მას ტუჩები უთრთოდენ და მოხუცისებური მიმქრალი თვალევი სწრაფათ დარბოდენ წამწამთა და ქუთუთოთა წითელ ჩარჩოში, ხოლო მისს ძვალ-ტყავათ ქვეულს სახეზე აქა იქა ხშირ-ხშირათ ნაკვები ჩნდებოდენ.

ლენკას არ უყვარდა, როდესაც ბიძია ამგვარი შეხედულებებისა ხდებოდა და ამის გამო ცოტა ეშინოდა.

— აი მე გვეითხები, როგორ მოექცევი წყალ-სახეცხველში შენ—უძლოური ბაღანა ხარ, ქვეყანა კი—მხეცია, და იგი ერთბაშათ გშთანთქავს... მე ეს არ მსურს... მე ხომ მიყვარხარ შენ, შეილოჯან... ერთათ ერთი მყევხარ მე შენ, და ერთათ ერთი გყევარ მეც შენ... როგორ მოვკვდე მე? შეუძლებელია, რომ მე მოვკვდე და შენ დარჩე... ვისი ამარა? უფალო! რისთვის შეიძლეე მონა შენი?!... სიცოცხლე აღარ შემიძლიან, სიკვდილიც ჩემთვის შეუძლებელია, რადგანაც—ბავში ხარ... მცველი გინდა... ჩემი ბებერი ხელე ბით შეიდი წელიწადი გატარე... უფალო, მიშველე მე!..

ბიძია დაჯდა, თავი აკანკალებულ მუხლებში ჩაყო და ატირდა. სწელ მკერდიდან უსწორ-მასწორათ აღმოხეთქილ და ხრინწიან ქვითინისაგან მხრებიც უხტოდენ მას.

მდინარე აჩქარებული მიექანებოდა და მხმიერთა ეშხაპუნებოდა კიდეს, თითქოს სურს ამ შხაპუნით მოხუცის ქვითინი დაახშოსო. ცა მხიარულათ იღიმებოდა, მწვავ სიცხეს აბნევდა ქვეყნათ და მშვიდათ, ღიმილით ისმენდა მღვრიე ტალღათა მშფოთარ ხმაურობას...

— გეყოფა, ბიძია, ნუ სტირი!—რალაც მიზეზით მკაცრათ დაილაპარაკა ლენკამ, თან სხვა მხარისკენ გაიყურებოდა; შემდეგ ბიძიასკენ მიიბრუნა წარბ-შეკრული, დაღვრემილი სახე და დაუმატა.—ხომ ყველაფრის შესახებ ვილაპარაკეთ უკვე. არ დავიღუბები, სადმე სამიკიტნოში მივებარები...

— ცემით სულს ამოგართმევენ...—ამოიკვნესა ცრემლ-მორეულმა ბიძიამ.

— იქნებ არ დამიწყონ ძლიერ ცემა. რომ არ დამიწყონ!—შეყვირა, ცოტა არ იყვეს, გაგულისებულმა ლენკამ.—მაშინ რა? აი მაშინ გზა მშვიდობისას გაეალ. ისე ადვილათ აღარ დავემორჩილები ყველას!...

მაგრამ აქ ლენკა უცბათ რალაცაზე დაფიქრდა და ცოტოდენი სიჩუმის შემდეგ ნელა სთქვა:—თუ არა და... მონასტერში წავალ...

— მონასტერში!...—ამოიოხრა ცოტა მოცოცხლებულმა ბიძამ; თან ხელახლათ იწყო მანქვა, რადგან სულის შემგუბელმა ხველამ მოუარა.

მათ ზევით ყვირილი და თვლების ქრიალი გაისმა.

— ბო-ო-რანი!.. ბო-ო... ჰეი!—ვილასიც ძლიერი ხმა არხვედა ჰაერს.

ორ-თვალნიან ურემი გულ-შემზარავი ქრიალით შემოდგა ქვიშაზე. ზედ ყახახი იღვა, ბანჯგვლიანი ქუდი გვერდზე მოექცია და თავი უკან გადაეწია; იგი ეშხადებოდა, რომ მალალი ხმით დაეყვირა; ფართოთ გაღებული პირით ისუნთქავდა, რის გამოც მისი განიერი, გარეთ გამოწეული მკერდი უფრო გარეთ გამოწეულიყო. შავი აბრეშუმივით წვერის ჩარჩოში გარკვევით გამოსქვივოდენ თეთრი კბილები. წვერი ფართოთ გახელილ და ჩასისხლებულ თვალეთანვე იწყებოდა. საკინძე ჩამოგდებულ ჰერანგიდან და მხარზე დაუდევრათ გადადებულ ჩოხიდან გამოსჩანდა ბაღნით დაფარული შხეზე გარუჯული სხეული. მთელი მისი დიდი და მაგარი სხეული, ხორციანი, იმ ლაყი და პატრონსავით უშველებელი ცხენი, ურმის მალალი და სქელ სალტებიანი თვლები,—ყველა ესენი აკვირვებდენ მაყურებელს თავიანთი ღონით, მაძლრობით და ჯან-საღობით; თვითონაც კი გრძობდენ, რომ ივინი ამ გვარნი იყვენ.

— ჰეი!.. ჰეი!..

ბიძიამ და შეილი-შვილმა მოიშვლიბეს ქულები და თავმდაბლათ მისცეს საღამო.

— გამარჯობა თქვენი!—უთხრა მოსულმა და, რა მიხე-

და იმ კიდეს, საიდანაც წელი და მოუხეშავათ მოძვრებად ბორანი ბუჩქებიდან, თვალვებ-დაშტერებით დაუწყო მთხოვრებს სინჯვა.—რუსეთიდან ხართ?

— იქიდან ვართ, მოწყალე!—თავის დაკვრით მიუგო არქიფომი.

— სიმშილობა თქვენში? ჰა?

ის ჩამოხტა ურმიდან და ცხენის იარაღის რომელიღაც თასმას დაუწყო ქიმივა.

— აბანოს ქიმივიც კი სიმშილით იხოცებინ.

— ჰო, ჰო, ჰო! აბანოს ქიმივიც იხოცებინ? მაშ ნამცეცებიც აღარ დაგრჩათ, სულ ყველაფერი შექამვით? მარჯვით სქამთ! ალბათ უხეიროთ მუშაობთ. იმიტომ, რომ კარგათ რომ მუშაობდეთ, სიმშილიც აღარ იქნება.

— აქ თავი და თავი მიზეზი, ჩემო დამარჩენელო,— მიწაა. ჯიბრობს, მოსავალს აღარ იძლევა. მიწას ჩვენ ტვინი ამოვწოვით.

— მიწა?—ყახახმა თავი გაიქნია.—მიწა იმისთვის აქვს აღამიანს, რომ ყოველთვის უნდა მოიყანოს მოსავალი. შენ ესა სთქვი, რომ მიწა კი არა ხელები, ხელებია უვარგისი. კარგი ხელები ქვაზედაც კი მოიყვანენ მოსავალს. შავი ზღვის ნაპირას ყოფილხარ? იქ, ბიძია, ქვებსაც ხნავენ!

ბორანი მოვიდა.

ორმა ჯან-მრთელმა წითურმა ყახახმა, რომლებიც გულგრილათ იდგნენ ბორანზე, მოახეთქეს იგი ნაპირს, წაბობრიკეს, ხელიდან ბაწარი გააგდეს და, რა შეხედეს ერთმანეთს, ქაქანი იწყეს.

(შემდეგი იქნება).

ჩვენი ცხოვრებიდან.

ჩვენი ძველი სატახტო ქალაქი—თფილისი—ერთი საუკუნის განმავლობაში ისე შეიცვალა, რომ უცხოელი დღეს მას ვერ ცნობს ქართველ ქალაქათ. ამის უმთავრესი მიზეზი უცხო ერის ჩვენში ეკონომიურათ გამდიდრებული უცხო ერი გამრავლდა და ჩვენი სატახტო ქალაქის ბედ-იღბალი დღეს სომხების ბურჟუაზია ხელშია. თფილისის ვაჟე ისაა, ვისაც ხელთ უპყრია თფილისის სიმდიდრე. ქართველობა კი, როგორც უფრო ღარიბი ნაწილი მცხოვრებთა, გამგობაში ფეხს ვერ იდგამს. ეს ისტორიაში ჩვეულებრივი მოვლენაა და არავის არ უნდა აკვირვებდეს. მაგრამ ჩვენ არ გვსურს, რასაკვირველია, იმის თქმა, რომ ამნაირათ უფლების განაწილება გვაქაყოფილებდეს. სრულიად არა. კაცობრიობის ბრწყინვალე მომავალის გულწრფელი მოტრფილენი სიტყვით, კალმით და საქმით უნდა ვიყოთ მტერი ასეთი განწყობილებისა. ვცხოვრობთ ქალაქში და არა გვაქვს არავითარი საშუალება ვიზრუნოთ ჩვენი მდგომარეობის განკეთილებისათვის, არავითარი საშუალება—დავიცვათ ჩვენი ინტერესები... ასეთი მდგომარეობა „ჩვენთვის“ არაა ბუნებრივი, „ჩვენ“ მას უნდა შევებრძოლოთ, მაგრამ როგორ, რა გზით?

„ცნობ. ფურც.“ და „ივერია“ გვიჩვენებს ეკონომიურათ გაძლიერდეთ... და ამნაირათ ქალაქის გამგობაში მოვიბოვოთ საპატო ადგილი. კეთილი, მაგრამ... მაგრამ რატომ ვივიწყებთ, რომ სომხების ბურჟუაზიის ბატონობას საფუძვლათ მათი აუარებელი სიმდიდრე უძევს, ის სიმდიდრე, რომლის წყარო ქართველი ხალხის გადატაკებაა. ამ უღვეველ წყარომ შექმნა აგრეთვე რამდენამდე ქართველის ქონებაც... მაშასადამე, თუ სომხების ვაბატონება ეკონომიურათ მათი გაძლიერების შედეგია და თუ ერთი ნაწილის ეკონომიურათ გაძლიერებას თან დაყობა ქართვე-

ლი ხალხის დაქვეითება, მიბრძანეთ, რას უნდა მოველოდეთ რამოდენიმე ათი წელი ქართველების გაკაპიტალისტებისაგან?... ან, ეგებ, „ცნობ. ფურც.“ და „ივერია“ უნდა უნდა გვჩვენონ რომ საქართველოში მთელი ქართველობის, თქვენს ქვეყნის ქვეყნის გაკაპიტალისტება მოსახერხებელია?... ჯერ ტენიკას არ მიუხედავია ამ იდეალურ მდგომარეობამდე... მაშ „ივერია“—„ცნობ. ფურც.“-ის რეალურ პირობებში მოქცეული იდელის განხორციელება უნდა გამოიხატოს მხოლოდ რამოდენიმე ათი ახალი ქართველ კაპიტალისტის გაჩენაში... ამით კი, არა მგონი, თფილისელ ქართველობამ საპატო ადგილი დაიჭიროს ქალაქის თვითმართველობაში და დაიკაყოფილოს თავისი უსაქიროესი მოთხოვნებიანი...

ვისაც გული თფილისელ ქართველობისთვის შესტკივა და სურს ღარიბი ქართველების მდგომარეობა გააუმჯობესოს, იმან უნდა შეეცადოს ქალაქის თვითმართველობაში ისეთი პირობები დამკვიდრდეს, რომ ამორჩეულები მართლაც მთელი ქალაქის ინტერესების წარმომადგენელი იყვნენ; ხოლო ამ მიზნის მიხედვით ქართველობის გაკაპიტალისტებისაგან არ უნდა მოველოდეთ... ჩვენ სხვა გზა უნდა ვეძიოთ...

რასაკვირველია, ქართველი ამრჩეულები იმათ მისცემენ თეთრ კენჭს, ვინც დაპირდება მათი ინტერესების დაცვას... დღეს ჩვენ მხოლოდ ეს შეგვიძლია...

მაგრამ ყოველგვარ საზოგადო საქმეში მხედველობაში უმთავრესათ მომავალი უნდა გვქონდეს და ჩვენი მოქმედებაც აწმყოთვის ზრუნვაში ამ მომავლის ინტერესებს უნდა შევეუფარდეთ.

მართალია, როდესაც ამნაირათ კითხვას დავსვამთ, მაშინ დაგვირდება საქმის ცოტა შორიდან დაწყება და ისეთ კითხვების წამოყენება, რომლებსაც პირდაპირი დამოკიდებულება არ ექნება ქალაქის არჩევნებთან, მაგრამ თუ შორიდან არ დავიწყებთ საქმის კეთება, თუ მას საერთო ნიადაგი არ მოვუმზადებთ, ისე ჩვენ კედლებს ვერ ივაშენებთ...

მაშ, ჯერ-ჯერობით, სხვათა შორის, თეთრი კენჭი ეხლანდელ არჩევნებში ქართველი ხალხსადმი გულ-შემატკივრებსა იმათ უნდა მისცენ, ვინც იზრუნებს ამ ნიადაგის გაუმჯობესობისათვის...

რასაკვირველია, სადღევანდლო პროგრამაში უნდა იქნეს შეტანილი ისეთი მოთხოვნებიც, როგორცაა ზრუნვა: საზოგადოებრივ გიგიენაზე, სწავლა-განათლებაზე და საერთოთა ღარიბ-ღატაკათვის საჭირო დაწესებულებათა დაარსება—ხელმძღვანელობაზე...

მაგრამ ყველა ეს კიდევ არ შეიცავს უმთავრეს მიზანს ჩვენი საზოგადოებრივ მოქმედებისას...

დ. კოლხიდელო.

რუსეთის ცხოვრება.

პეტერბურგში აზრდა აქვთ ხმოსანთა არჩევნების დროს ხმის ფლება სადგომის პატრონთაც მისცენ. ფაქტობენ, ხმის უფლება იმ ბინის პატრონთ მიანიჭონ, ვინც ქირას 1,200 მანეთზე მეტს იხდის.

— პეტერბურგში ახსდება ქარხნების პატრონთა ახალი საზოგადოება. აზრათ ამ საზოგადოებას ურთ-ერთთა დაზღვევა ექმნება იმ შემთხვევისათვის, თუ ქარხნის მუშას ან მასმისხურეს უბედურება რამ შეემთხვა.

— რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის დამხმარებელი საზოგადოება შეუდგა მუშათა დაზღვევის საქმის შემუშავებას. საზოგადოებამ მიმართა სხვა და სხვა უწყებას, ქარხნებსა და დამზღვევ საზოგადოებებს და თხოვა, თავიანთი წარმომადგენლები დანიშნონ კომისიაში მონაწილეობის მისაღებათ. მიწვეულები არიან აგრე-

თვე აკადემიკოსები ახეული და მერყევისკი, ზროფსორები იარც-კი, ხრდისკი, ველამინოვი და სხვანი.

— მომავლის წლის იანვარს ზეტერბურგში მხედება სრუ-ლიათ რუსეთის ბეთაღთა კრება. კრება 16 სექტიათ იქნება გაუ-ფილი. მონაწილეობის მისაღება ი მიწვეულები იქნებიან საბეთაღთ ინსტიტუტების ზროფსორნი. სარკანიზაციო კომიტეტის წევრათ 15 ზეტერბურგელი და 15 ზროფინციელი ბეთაღთი. მომავად კრე-ბასე ლანარაკი, სხვათა შორის, ურთი-ერთ დამხმარებულ საზოგა-დობისა, კასისა და სხვა ამ გვარ დაწესებულებების დაარსების შე-სახებად ექმნებათ.

ზეტერბურგის უმაღლეს წრის მანდილოსანი ახლ საზოგა-დობას აარსებენ. ახრათ საზოგადობას ინგლისურის მეთოდით ზავშეთა ფიზიკურათ აღზრდა აქვს. მასწავლებლებს ინგლისიდან მოიწვევენ. წესდება საზოგადობისა უკვე შეუმუშავებიათ და წარუდ-დგენიათ დასამტკიცებლათ.

— სარატოვში არსდება ახალი საზოგადობა — „ქანხებსა და სახელმწიფოებში მისამსახურეთა ურთ-ერთ დამხმარებელი ძმობა“ ძმობას ახრათ წევრთა ქანხებრივ და გონებრივ მდგომარეობის, გ-უშჯობებსა აქვს. ამ ახრით ძმობა დაარსებს საჩაიებს, სასადი-ლოებს, იათ-ფასიან სადგომებს, თავ-შესაფარებს, შრომის სახლებს საავათმეთოფებს, სახელმწიფოებს, არტელებს, მომხმარებელ ღუქებს მუშათა მიერ დამზადებულ საქანლის საწოლებს, სამუშაოს მისა-ძენი ბიურაებს და სხვას. საწევრო შესატანი ხუთ კატეგორიათა: გაუფილი, თვეში უნდა შეიტანონ: 1) 11 კაზ., 2) 27 კაზ., 3) 53 კაზ., 4) 89 კაზ., და 5) 1 მან. 5 კაზ. ამას გარდა უველა კატეგორიის წევრმა უნდა შეიტანონ წელიწადში 10 კაპიკი სამარხ თანხის შესადგენათ. საწევრო ფულის ერთი ნაწილი სახელდობრ: 1, 2, 3, 4 და 5 კაპიკები გამსესებულ თანხის შედგენას მხ-მარდება. ხელმწიფებსა და მუშებს გარდა, სხვებსაც შეუძლიანთ დამ-ხმარებელ წევრებათ ჩაეწერნენ. იმათ წელიწადში სამ-სამი მანეთი უნდა შეიტანონ.

სახლვარ-გარეთ.

ავსტრია-უნგრეთი. ქვედა-ავსტრიის მომავალ არჩევ-ნებზე შეერთებას აპირებენ ყველა დასები. „ებრაელთა მო-ძულ“ დასის წინააღმდეგ შეერთდებიან ლიბერალები, გერ-მანელთა სახალხო ჯგუფი, სრულიად გერმანელნი და სო-ციალ-დემოკრატები. დიდი შეჯახება მოხდება ამ არჩევნებ-ზედ და საეჭვოა, რომ „ებრაელთა მოძულე“ დასმა კიდევ გაიმარჯვოს კვლავინდებურათ.

„Pall-Mall Gazette“ ამბობს: ყოველი ქვეყანა ისეთ ებრაელებსა ზრდის, როგორც მას შეეფერება—ინც სიმძულვართა და მიუკარებლობით ეპყრობა მათ, რო-გორც ეს საშუალო საუკუნოებში იყო; მას სიმძულ-ვართა და მტრობით უხდიან სამაგიეროსაო. ებრაელი, რო-მელიც ზნეობითაა დაცემული, ნაყოფია იმ დენისა და სი-სასტიკისა, რომლითაც ქრისტიანები ექცეოდნენ მათაო; და თუ ეს ნაყოფი იდეალური არაა, ამაში მხოლოდ ქრისტიანე-ბი არიან დამნაშავენიო.“

რუმინია. როგორც ვენიდან ატყობინებს კორესპოდენ-დენტი „Times“-ს, რუმინის მთავრობას გაუზრახავს, სრუ-ლიათ უკურადღებოთ დასტოვის განათლებულ სახელმწიფო-თა წინადადებანი ებრაელთა მდგომარეობის საკითხის შესა-ხებაო; იგი არამც თუ გაუქმებას არ უპირებს ებრაელთა საწინააღმდეგოთ მიმართულ კანონებს, არამედ სურს კიდევ უფრო შეავიწროვოს ებრაელები და აიძულოს სრულიათ გა-დასახლება რუმინიდან. „Times“-ი სოცარის გულის წყრო-მით კიცხავს რუმინის მთავრობის თავხედურს ენინანობას და ურჩევს დიდს სახელმწიფოებს, რომ მაგრათ ჩასჭიდონ ხელი

ამ მიზნსა და ყოველის კუთხით შეზუთონ მისი ფინანსიური მდგომარეობა.

სათათრეთი. ხონთქარმა დააკაყოფილა საფრანგეთის ინგლისის და ავსტრიის ელჩთა მოთხოვნილება და გადააყენა ქ. ალენოს ფალი ენის-ფაშა, ორგანიზატორი სომხების ამოყ-ლეტისა 1896 წ. დაარბევით; და სხვაგან.

სამართა შორისო ბრძოლა სინდოკატების წინააღმდეგ.

(С-Петербург. Вѣдомости № 242).

ამერიკიდან, რომელიც ცნობალია სინდოკატების სიმრავლით, ფრად საუურადღებო ამბავი მოვიდა. შეერთებული შტატების ეს-ლანდელმა ზრეზიდენტმა რუზველტმა—შეკარა ომი გამოუცხადა სინდოკატებსო. არ შეიძლება ითქვას, რომ ზრეზიდენტის სიტყვას სრული თანაგრძნობით მიეკება მთელი ამერიკის ზრესო, მაგრამ ის კი ცხადია, რომ მარტო რუზველტი არ არის ამის მოსურნე და სინდოკატებთან ბრძოლაში მას მხარს დაუჭერს ბევრი წარჩინე-ბული მოღვაწე და ზრესის საუკეთესო ნაწილიც.

რუზველტის სიტყვა საუურადღებოა იმ მხრივაც, რომ ის დაანახვეს სინდოკატების მოტროფალეთ ბევრ ისეთ ნაკლს სინდო-კატებისს, რომელიც ხაღხის კეთილდღეობას აბრკოლებდა და რომელიც ბევრისაგან შეუმჩნეველი იყო დღემდის.

დღეს თითქმის ყველა მკვლევარი იმ აზრისაა, რომ თანამედ-როვე წარმოების წესში წინააღმდეგობა არსებობს... ძირითადი და-მანსიათებელი თვისება დღევანდელი კაპიტალიზმისა არა ანარხია წარმოებაში.

უქმლობა სასტიკი საზოგადობრივი კონტროლისა საზოგადო-წარმოებაში, ისეთი კონტროლისა, როგორც არსებობს კერძო ფაბრიკებში, უთანასწორობა მოთხოვნილებათა და ნაწარმოებთა შო-რის,—აი მიზეზი ზერიდელი ეკონომიური კრიზისებისა. რას ვხედავთ ზვენ კრიზისების დროს? კრიზისებს შეუღია ერთის მხ-რით დაგვანახვოს, რომ ზვენ გვაქვს აუარებელი ნაწარმოეო ძადა. (კაპიტალი და მუშა ხელი) და მეორე მხრით ვხედავთ, დომ კაპი-ტალიზმი ვერ ახერხებს რაციონალურთ აამუშაოს ეს ძალები. კრიზისების დროს უწეაღთ ერთან გარეთ საქანელს, რომელიც ვერ გაუსადებათ; საქანელი ღებება ერთ ადვილას, ვინაიდან მიიდ-ველი არავინ არის. ეს ის დროა, როცა ხაღხის უუსაჭირველი მოთ-ხოვნილებანიც დაუკმაყოფილებელი რჩებიან.

სინდოკატების განვითარებას, როგორც ეს ეკონა ბევრს, უნ-და აქტილებისა კაპიტალიზმისთვის ასეთი კრიზისები, მაგრამ გაა-მართლეს კი ამათ მოლოდინი? ამის ზასუხს ქვევით დავინახავთ.

სინდოკატებმა დიდი სისხური გაუწიეს გაერთიანების იდეას, შეკერთეს წარმოების დარგსა, მისზე კანკურენცია ამ დარგში და ამნაირათ ანარხიის მაგიერ წარმოებას საზოგადობრივი სასიათი დაეტოვა; შესაძლო შეიქნა დასხლავებათ გამოიკვლიონ მოთხოვნი-ლების როდენობა და ამით ისეღმძღვანელან წარმოების დროს.

აქ საჭიროა გვახსოვდეს, რომ სინდოკატები მოქმედებენ უზ-რეტექტიონიზმო და ზრეტექტიონალურ ქვეყნებში. უზრეტექტიონ-ნიზმო ქვეყნებში სინდოკატემა მართლაც და რამოდენიმეთ კიდე-ვაც მაღწიეს მიზანს, სინდოკატებს მოჭევა შედეგათ შეერთება მებრძოლთა და მეტოქე დარგთა წარმოებაში, რითაც არსებული ანარხია ცოტათი შესუსტდა. ალებ-მიტკემობაც უკეთეს ზირებებში ხადგა. ამავე დროს სინდოკატს არ შეუძლო ფასები აეწია ნაწარ-მოებზე, რადგან უზრეტექტიონიზმო ქვეყანაში იყო და მასზე მუ-დამ გაუღეს ქონდა მსოფლიო ბაზარზე არსებულ ფასებს. ფასი რომ აეწიათ საქანელზე, მაშინ იმ წამსვე მეორე ქვეყნიდან მოა-წვდებოდა საქანელი და ხელაგურათ აწეულ ფასებს ისევ ნორმა-ზედ ჩამოიფანდა. ასეთ ზირებებში იყო, მაგალიათ, ინდო-უზრეტექტიონიზმო ქვეყნებში სინდოკატებს მაშინ აქვთ საშიში გაკლენა, როცა ისინი ხდებიან ცენტრალიზაციონალურათ და მსოფლიო

ბაზარზე ბატონდებიან. მაშინ მათ არა ყავთ შეტყუება და შეუძლიათ როგორც მათ სურთ ისე ასწიონ ფასები. მაგრამ საერთაშორისო სინდიკატებს ჯერ არ გაუდგამთ ფეხი ისე, რომ მათი გავლენა თავსახინა იყოს.

გავარჩიოთ ეხლა სინდიკატები იმ ქვეყნებში, სადაც პროტექციონიზმი არსებობს.

მსოფლიო ბაზარს ძალიან მცირე გავლენა აქვს ანაირ სინდიკატებზე, ვინაიდან პროტექციონიზმმა შესუსტა მისი გავლენა უცხო საქონელზე უზუშო ბაჟის დადებით.

ამავე დროს სინდიკატების შეესებოთ ისედაც კანკურენცია შიგნით და გაბატონებული შინაურ ბაზარზე სინდიკატები თითონ უმატებენ ფასებს თავიანთ ნაწარმებს და იმდენ მოკუბას იღებენ, რომ მათ შეუძლიათ მონაწილე სექტორული ეიდან მსოფლიო ბაზარზე ბევრათ დაკლებულ ფასებში. აქედან წარმოდგა ის საკვირველი მოვლენა, რომ გერმანიაში, ახუ რუსეთში და მსხადებული შაქარი გააქვთ ინგლისში და იქ ისე იაფია, რომ შაქრით დარგებსაც კი კვებავენ. რუსეთში კი შაქარი ძალიან ძვირია და ხალხისთვის ხელმისაწვდამი არაა.

თანამედროვე სინდიკატები, როგორც ზევით დავინახეთ, თან და თან იღებენ საერთაშორისო ხასიათს და რადგანაც მათ ცუდი გავლენა აქვთ ხალხის კეთილ-დღეობაზე სანაგვის გაძვირებით, ამიტომ საჭიროა საქვეყნო ბრძოლა ამ სინდიკატების წინააღმდეგ. როგორც ზევით დავინახეთ, სინდიკატები მაშინ არიან იფრო მავნენი, როცა იგინი შეერთებულია პროტექციონიზმთან ერთად. ამიტომ ამ უკანასკნელის შესუსტება ამავე დროს მოასწავებს სინდიკატების მავნე გავლენის შესუსტებას.

Nota aeconomicus.

ქალაქის მომავალი არჩევანი ბათუმში.

მოახლოვდა ქალაქის არჩევნები. გამოქვეყნდა ამომრჩეველთა სია და შემზამურდა აქამდე მიძინებული ბათუმის საზოგადოება. აგერ-ვეგერ ხედავთ ამომრჩეველთ სიით ხელში და გაფაციცებით ანგარიშობენ რომელი ეროვნების რავდენი ამომრჩეველია, რომელი რომელს მიემხრობა და სხვა... სამწუხაროა რომ ჩვენი ქვეყნის ქალაქებში (რასაკვირველია ქუთაისს და ფოთს გარდა) ყოველგან თავი იჩინა ეროვნულმა შუღლმა და განკერძოებამ ქალაქის თვითმართველობაში, რაც ბოლოს უღებს და აწანაგებს ამ უკანასკნელს, ისედაც გარეშე მიზნებისაგან შევიწროებულს და ყუყუბ მიყენებულს. მარა, როგორც ყველაფერს, ისე ამ მოვლენასაც თავისი მიზნებები აქვს. ყოველი განათლებული და შეგნებული მოქალაქე მომხრე უნდა იყოს სხვა და სხვა ეროვნებათა შორის სოლიდარულ განწყობილებისა და თანხმობისა, მარა, სამწუხაროთ, ჩვენი თანამედროვე ცხოვრება ისეთ ნიადაგზე აღმოცენებული და დამყარებული, რომ ეს შეუძლებელი ხდება. შეუძლებელი ხდება იმიტომ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ პირობებში, რომლებშიც კერძო პიროვნული ინტერესებისა და პირადი სარგებლობისათვის პრძოლა ისეა გამწვავებული, რომ გარეშე თავისა იშვიათათ ვინმეს რამე ახსოვს. ასეთ პირობებში კი ძნელია თანხმობით მოქმედება არამც თუ სხვადასხვა ეროვნებათა, არამედ ერთი რომელიმე ერის მოქალაქეთა შორისაც. სარგებლობენ რა ამ გარემოებით ქალაქის ამომრჩევთა ამა თუ იმ პარტიის ხელმძღვანელები, პარტიულ ბრძოლის მოტივით ხდიან ეროვნებას, რადგან ამ ნიადაგზე უფრო აღწევენ თავიანთ მიზანს. ასეა ბათუმშიაც. აქაურ ამომრჩევლებში რიცხვით პირველი ადგილი უჭირავს ქართველებს, მეორე სომხებს, მესამე რუსებს და შემდეგ ბერძნებს, მარა არჩევნების დროს რუსები, ბერძნები და სხვ. იქსაქებიან და ზოგი მათგანი ემხრობა ქართველებს, ზოგი სომ-

ხებს,—ამ ორ უმთავრეს პარტიას. რუსის ამომრჩევლები შედგებიან სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელთა და წვრილ მემამულე სახელმწიფო სამსახურში მყოფ ჩინოვნიკთაგან. მათი მეთაურია ბ-ნი პალმი, „Черн. вѣстник“ ჟურნალის რომელიც მტერია თვითმოქმედებისა და კერძოთ ქართველების. ამ მიზნის მისაღწევათ იგი არ ერიდება არავითარ საშუალებას—რაც მკითხველმაც იცის. სომეხი-ამომრჩევლები შედგებიან სხვილ მრეწველ-ვაჭარ-მემამულეთაგან. მათი მეთაურია ბ-ნი ხუდადოვი, თბილ. კომერციული ბანკის აქაური განყოფილების გამგე. ესენი ცდილობენ ქალაქის თვითმართველობა ხელში ჩაიგდონ. ქართველი ამომრჩევლები თითო ოროლას გარდა შედგებიან წვრილ ხელომკლე მემამულეთა და ვაჭართაგან. მათი მეთაურია ბ-ნი გრ. ვოლსკი. ვინ არ იცის, რომ ბათუმში მცხოვრებთა ორი მესამედი თუ არა ნახევარი მიიწ ქართველებია. ესენი ეწვევან ფიზიკურ და გონებრივ შრომას იმ სხვა და სხვა სავაჭრო დაწესებულებათა და ქარხნებში, რომლებითაც უღვია ბათუმს სული. ჯერ-ჯერობით ბათუმის თვითმართველობა უმთავრესათ ქართველების ხელშია. სამართლიანობა ითხოვს ვთქვათ, რომ ქალაქის საქმეების გამგებლობაში ამ ელემენტს სირცხვილი არ უქამია. ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიაც მხნეთ გაუძღვებიან ქალაქის საქმეებს. ძალთა განწყობილება ახლო მომავალ არჩევნებისასეთია: მთელი რიცხვი ამომრჩევლებისა არის 774. ამათში ქართველები 338, (მართლ მად. ქართ. 213, კათოლიკე ქართ. 37 და მაჰმადიანი ქართ. 88). სომხები 195, რუსები და პოლშელები 123 და სხვა ეროვნებისანი 45. ამრჩევლები უკვე შეუდგენ აგიტაციას. დაწყოა მით, რომ ბ-ნმა გრ. პალმმა ქართველ ამომრჩეველთა რიცხვი გამოაცხადა თავის გაზეთში, მარა იმდენი კი არა, რაც ნამდვილათ არის, არამედ იმის ნახევარზე ცოტა მეტი. ამ ანგაშში შეიძლება იმიტომ შეცდა ბ-ნი პალმი, რომ იგი არ სცნობს ქართველებათ კათოლიკე და მაჰმადიან ქართველებს, მარა მისი ჯურის მწერლები ხომ არც მეგრელებს, გურულებს და იმერლებს, სურამის უღელტეხილს გადმოღმა მცხოვრებლებს ცნობენ ქართველებათ. შემდეგ ბ-ნმა პალმმა გაიხადა სააგიტაციო მასალათ ბ-ნ ტრიანდფილიდესის საავადმყოფოს მთავარ ექიმობიდან დათხოვნა და სურს ბერძნები შეატაკოს ქართველებს და თავისკენ გადბიძროს ისინი. ვგონებთ ამაშიაც ცდება ბ-ნი პალმი, რადგან აქაური ამომრჩეველი ბერძნები კარგათ იცნობენ ბ. პალმსაც და თავიანთ ტრიანდფილიდესსაც. ასეა თუ ისე აგიტაცია ქართველების წინააღმდეგ დაწყებულიათ უნდა ვცნოთ. რა გვარი კომბინაციები მოხდება არჩევნების დროს, ეს ძნელი გამოსაცნობია ჯერ-ჯერობით. ის კი ექვს გარეშეა, რომ ქართველების მოწინააღმდეგე ელემენტები სხვა და სხვა ეროვნებიდან პალმის და მის მოძმეთა მეთაურობით იჩენენ თავს და შეერთდებიან ქართველების დასამარცხებლათ, რომ ამ შეერთებულ ძალას გაუშკლავდენ ქართველები ამ უკანასკნელებმა ჩვენის აზრით უნდა ქმნან შემდეგი: 1) შეასწორონ სია, რადგან როგორც სხვა, ბევრი ქართველი ამომრჩევლებიცარიან გამოტოვებული პირველ სიაში. 2) ეცადონ, რომ კანონიერი (დოკუმენტალური) ცენზის საბუთების უქონლობით არაგინ გამოაკლდეს. 3) რაც უმთავრესია გასწორონ და შეატანონ ხელმოკლები 4) ხელი აიღონ იმ კერძო შინაურულ კინკლაობაზე და განხეთქილებაზე, რასაც არავითარი საზოგადოებრივი ხასიათი არა აქვს და რასაც, სამწუხაროთ, ადგილი აქვს მათ შორის და შეერთდენ განურჩევლათ სარწმუნოებისა. მარა შეერთებულ ძალას უნდა წინ უძლოდეს ზნეობრივი ძალაც და ეს უკანასკნელი კი, ჩვენის აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ ქართველმა ამომრჩევლებმა წამოაყენონ საუკეთესო მომზადებული და საზო-

გადო ინტერესებით გამსჭვალული პირები ხმოსნებათ ამოსარჩევი, თუნდა მათ შორის სხვა ეროვნებიდანაც მოხდეს რაღაცენიმე პირი. როგორც ზვეითაც მოგახსენეთ, რაგვარი კომბინაციები მოხდება არჩევნების დროს ჯერ ამის თქმა შეუძლებელია. ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს და მანამდის კი საჭიროა გავითვინოთ ის, რაც ზვეით ვსთქვით, რომ ჩვენის უზრუნველობით მოუძახდებელი არ დავხდეთ მომავალ არჩევნებს.

—ან—ლიძე.

მოგობა და ბატონ-მობა *).

(ანბ. სეის „Les classes rurales“ დან.)
(დასასრული)

IV.

მეროვინგების დროს, როგორც წინა საუკუნოებში, სოფლის ადგილ-მამულის ექსპლუატაციას ახასიათებდა სხვილი მამული. სხვილი მამულები ისეთ ნაირათ იყვენ მოწყობილნი და გაწესრიგებულნი, რომ განაგრძობდენ არსებობას მთელი საუკუნოების განმავლობაში. დღესაც არიან ისეთი სოფლები, რომელთა სახელები მეროვინგების დროის გუჯრებშია მოხსენებული. მეექვსე და მეშვიდე საუკუნოებში ცხრა მეთედი ეხლანდელი კომუნებისა კერძო მესაკუთრეთა ხელში იყო. უმთავრესი რეჟიმი მსხვილი საკუთრების რეჟიმი, რომელიც ვერ შეიარყია ვერც ბარბაროსების შემოსევამ, ვერც მემკვიდრეობითმა დანაწილებამ და ვერც სხვა გვარმა გავლენამ. მართალია, არსებობს წვრილი საკუთრებაც, ერთის ან რამოდენიმე ოჯახისთვის საკმაო მიწა, მაგრამ ასეთი წვრილი ნაქრები თითქმის ყოველთვის სხვილ მამულში არიან მოყოლილნი და თვით წვრილი მესაკუთრენი—საჭიროა აქ შევნიშნოთ—თვითონ მიწას არ ამუშავენ: ისინი ხარკს კრეფენ.

მამულის ესრეთი ორგანიზაცია, რომელიც ჯერ კიდევ პირველ საუკუნოებში ირკვეოდა, უფრო ნათლათ განმტკიცდა მეროვინგების დროს. თითოეული დომენი ანუ მამული შეიცავს ორ გარკვეულ ნაწილს: საბატონო მიწებს (mansus ihdominicatus) და იმ ადგილებს, რომელნიც იყვენ გლეხთა სარგებლობაში, (სანადელო მიწა), ესე იგი, კოლექტიური ფლობელობა ადგილს უთმობს კერძო ფლობელობას. ერთი დამახასიათებელი თვისება ამ დროისა არის სანადელო მიწის მუდმივობა და დაუყოფლობა. ამის ნამდვილ მაგალითს ჩვენ ვხედავთ Polyptygue d'Irminon-ში. ასე რომ როცა აბატმა სენ-ჟორმენ-დე-პრემ საეკლესიო მიწების სია შეადგინა, მას არავითარი ახალი განაწილება არ მოუხდენია, მან აღწერა ის, რაც უკვე არსებობდა. დაბარეს ყველანი, ვინც დომენებში მიწებით სარგებლობდენ და ფიცის ქვეშ აღიარებინეს მათ მიერ დამუშავებული მიწების რაოდენობა: ამ დროიდან ის მიწა, რომელსაც გლეხი ამუშავებდა, გადადის მასზე ჩამომავლობით; თითოეულ ოჯახს ცხოვრება უზრუნველ ყოფილი აქვს ყველას მოეპოება თითო ნაქერი მიწისა, აქვს თავისი პირადი ინტერესები და ინდივიდუალობა.

ამნაირათ დაქვედრდა ყმობა. არ უნდა დავივიწყოთ ამავე დროს, რომ მონობა ჯერ კიდევ არ მოსპობილა. მართალია, როცა მიწების განთავისუფლება ხშირი მოვლენა შექმნა, ამით მონობა თითქმის გაქრობის გზაზე დადგა. მაგრამ არის ერთი წყარო, რომლის წყალობითაც მონობა ჯერ კიდევ სულს ითქვამს. ეს წყარო, შედარებით ძველ დროსთან შეტათ სუსტია რასაკვირველია; იგი მდგომარეობს შემდეგში: ომში ტყვეთ წამოყვანილნი, სათემო უფრებთა დამრღვევნი (eriminde droit cmmun), მეტათ მძიმე ხარკის ვერ გარა

დამხდელნი,—ყველა ესენი მონების რიცხვს აღიღებენ. მონათა რიცხვს ემატებოდა აგრეთვე მონა-ქალების შემოთვლენი. მონას უყურებდენ როგორც საკუთრების მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც შეიძლება იქნეს გაყიდული, განუქვეთული, გადამცემული ან ნაანდერძევი. მონას შეუძლია შეერთოს ცოლათ მხოლოთ მონა, მისი ბატონის საკუთრება და არა სხვისი, მას ასამართლებს მისი ბატონი და არა საჯარო მსაჯული. ამგვარათ ამ დროს მონის იურიდიული მდგომარეობა და მატერიალური ცხოვრების პირობები ისეთივე დარჩენ, როგორიც იყო ძველ დროში და რაც შეეხება მისი ცხოვრების მორალურ მხარეს, ეს კი ქრისტეს ქადაგების ზეგავლენით ღრმათ შეიცვალა. მონა ადამიანიათ ითვლება; ეკლესია მას ჯვრის წერის ნებას აძლევს. ეს ძლიერ დიდ მნიშვნელოვანი ფაქტია: ამ დროიდან მონა ოჯახის პატრონი ხდება.

მეროვინგების დროს მონების რიცხვი კლებულობს, რასაც ამტკიცებს განთავისუფლების გახშირება, თუმცაღა განთავისუფლებული ჯერ კიდევ არ უთანასწორდება კანონის მიერ ცნობილ თავისუფალ პირს, რადგანაც ამგვარი განთავისუფლება ერთიანად არღვევს დამოკიდებულებას ბატონსა და მონას შორის. უმეტეს ნაწილათ განთავისუფლებული ვა ნაგრძობს სამსახურს ბატონთან, ის ისევე მისი კლიენტი და ქვეშევრდამია. ამ გვარი განთავისუფლებით მიწის მესაკუთრეთ ხდება ძალიან მცირე რიცხვი, მაგრამ სამაგიეროთ ეს გარემოება აუმჯობესებს მრავალ მესაკუთრეთა ოჯახის მდგომარეობას. მართლაც, მისი წყალობით ყმების რიცხვი ძლიერ გაიზარდა: მაშინ, როდესაც უფრო ადრე განთავისუფლებულნი ქალაქებში იყრიდენ თავს და ourbain-ების კლასს შეადგენდენ, ახლა ისინი მიწას ამუშავებენ სოფლათ და ამრავლებენ კოლონებსა და ყმების კლასს. ასე ნელ-ნელა და შეუმჩნევლათ ყმობა განმტკიცდა და ბოლოს ჩვეულებათ გადაიქცა. მართალია, მეშვიდე საუკუნეში არიან ისეთებიც სოფელში (villa), რომელთაც მიწა არ უჭირავთ: მწყემსები, მონადირეები და სხვა და სხვა ჯურის მუშები; მაგრამ მონათა მიწაზე მიმაგრება საყოველთაო მოვლენა იყო: მემამულე ხშირათ ამა თუ იმ მიწას მასზე დასახლებული მონის სახელს უწოდებდა.

რაც შეეხება იმ მიწებს, რომლებიც გლეხებს ეჭირათ, მათ შესახებ მეროვინგების დროს არავითარი გარკვეულ წეს-რიგი არ არსებობდა: ზოგი ხარკს იხდიდა, ზოგი ბეგარას და ზოგიც, რაც უფრო ხშირია,—ერთსაც და მეორესაც. „საეკლესიო ყმებმა,—ამბობს ალემანთა კანონი (la loi des Alanous)—უნდა მიართვან ბატონს, როგორც ჩვეულებრივი გარდასახადი მიწისა, აგრეთვე 15 წონა (mesure) კარაქი, ერთი შაში (ღირებული მესამედ sou-თ), ორ ფუთ ნახევარი პურა, 5 ქათამი, 20 კვერცხი“. წელიწადში ისინი ერთ დღეს რომ თავის მიწაზე მუშაობდენ, მეორეს—ბატონისაზე. ხშირათ ხარჯი მიწის ღირსებას არ შეესაბამებოდა: ყველაფერი ბატონის სურვილზე იყო დამოკიდებული არაფერი არ იყო გაწესრიგებული კანონის მიერ, რომლიც ადგილიც ჩვეულებას ეჭირა. ერთათ ერთი კანონი იყო ჩვეულების შეუცვლელიობა. თვით მიწის მემკვიდრეობით გადაცემა განამტკიცა ჩვეულებამ და არა კანონმა; მონის ან ყმი შეიღი ესახლებოდა მამის მიწაზე და განაგრძობდა სამსახურ ბატონისადმი.

მართალია, ყმასა და განთავისუფლებულს შორის არც განსხვავება მხოლოდ ქალაქზე, ცხოვრებაში-კი ისინი ძალიან ახლო დგანან ერთმანეთზე. „ისინი, ვისაც ჩვენ თავისუფლებას ვაძლევთ—ამბობს ერთი ფორმულა—ვალდებულნი არიან დარჩენ თავიანთ მიწებზე თავისუფალი ადამიანებ,

*) იხ. „კვალნი“ № 38.

სახელით და უფლება არა აქვთ თავის დღეში ფუძე გამოიკ-
ვაინ“ . ესენი არიან მიწის ყმები.

ერთი სიტყვით, ცხადია, რომ გარდა სიტყვისა „თავი-
ყვანილი ადამიანი“, არაფერი არ განარჩევდა კოლონს ყმი-
ვან. ასეთია უმთავრესი დამახასიათებელი ნიშნები regime
manial-ის; ასე ირკვევა ის არსებითი იდეა, რომ სოცია-
ლურ ცხოვრებაზე გავლენა უფრო აქვს თვით მიწის მფლო-
ბელობის პირობებს, ვინც პიროვნების მდგომარეობას. პირა-
დი მონობა ნელ-ნელა ქრება, მაგრამ დამორჩილება, რომე-
ლიც გამომდინარეობს ეკონომიურ დამოკიდებულებათაგან,
ძალიან აწვევა დაბალ კლასებს.

ჯერ კიდევ მეროვინგების დროს იხინეს თავი les droits
d'usage (ჩვეულებრივი უფლებები) და les banalities (ბატონ-
ის უფლებანი). ჩვეულებითი უფლებები უკვე ამ დროს იჩე-
ნენ იმ ხასიათს, რომელიც მათ მომავალში ეძლევათ: ეს არის
ფერმერების მიერ სავალდებულო გადასახადი, რომელსაც
იძებს მიწის პატრონი იმათგან, ვისაც მიწა უჭირავს, ტყე-
საძოვრებით სარგებლობს. რაც შეეხება ბატონის
ქვას, ეს ჯერ ნაკლებად არაა გამორკვეული, მაგრამ რომ
აქვს, ცხადია. მართლაც, მივიღოთ მხედველობაში,
რომ დომენში უნდა იყოს ყველაფერი, რაც იქ საჭირო და
ჭირდება. თითოეულ დომენსაც აქვს წისქვილი და
ფურნე, სადაც ფერმერი იძულებულია დაჟქვას თავისი ხორ-
ბა და გამოაცხოს ბური.

ჩვენ უნდა წარვიდგინოთ ეს პატარა სამეფო გაწყობ-
ბა და გაწესრიგებული; მას villa ეწოდებოდა. Villa უთავ-
ილო გროვას კი წარმოადგენდა, მასში თითოეული პი-
როვნების ერთ განსაზღვრულ რანგს ეკუთვნის და აქვს თავისთვის
წინასწარი მიწის ნაკვეთი. ბატონის სასახლე წარმოადგენდა
ცენტრს; ის ერთ დროს იმავ დროს ციხე-კოშკიც იყო და
ფერმაც; სასახლეს გარშემო არტყია მრავალი შენობები, წინ
დიდი ეზო, რომელიც თავს დაჩერებია დომენის მიწებს, ბა-
ღებს, ვენახებს, ტყეებს, მინდვრებს, ველებს და სათიბებს.
სასახლის ქვეით მოთავსებულია გლეხების ქოხები. ერთი სი-
ტყვით ჩვენ ვხედავთ იმ გვარ სურათს, რომელიც სავსებით
მოკვავაგონებს ეხლანდელ სოფლებს.

ჩვენს დროში, რა სივრცისაც უნდა იყოს მიწის საკუთ-
რება, ის იმყოფება ათასგვარ გავლენის ქვეშ: მასზე მუდამ
მოქმედობს უმაღლესი დაწესებულების ძალა: სახელმწიფოს
აგენტები ხარკს კრეფენ, სამართალს სჭირან, გზებს უვლიან
და სხ. საშუალო საუკუნოების პირველ ხანებში ასეთი უფ-
როსი, მზრუნველი, უმაღლესი მმართველი დომენისა არის
მისი პატრონი. ერთათ ერთი ქვეშაირი ავტორიტეტი არის
მესაკუთრის ავტორიტეტი. ეჭვი არაა, არავითარ კანონს არ
დაუწესებია ასეთი მისი ძალა, ეს შექმნა თვით ცხოვრებამ
(la force des choses). რომში (როგორც გერმანელთა შო-
რის) ბატონის ხელთ იყო მისი მონების ბედ-იღბალი, ის იყო
მსაჯული და დამსჯელი ყველასი, ვინც კი ცხოვრებდა მის
ბინაზე და იგივე აგებდა პასუხს მათი საქციელისთვის. მერო-
ვინგების დროს განთავისუფლებულნი და კოლონებიც სრუ-
ლიათ ემორჩილებიან ბატონის იურიდიკიას. მესაკუთრეს ავ-
ტორიტეტი კიდევ იმით იზრდება, რომ ცენტრალური მთავ-
რობის ძალა სუსტდება. მემატონეთა ძალა უკვე საგრძნობე-
ლი ხდება. ერთი სიტყვით, მეროვინგების დროიდან დაწყე-
ბული უკვე არსებობს დომანიალური მართლ-მსაჯულება. ის
აშკარად გამომდინარეობს საკუთრების უფლებებიდან და აი

*) banalite ან მემატონის უფლება. ეს ის უფლებაა, რომლის ძა-
ლითაც ფეოდალი იძულებდა თავის ვასალებს და ქვეშევრდომთ მისი ამა-
თი იმ ქონებით სარგებლობას და სარგებლობისთვის იღებდა მის მიერ
დაწესებულ ფასს.

ამ უფლებებზეა აშენებული მთელი დომანიალური ორგანიზა-
ცია. ასე გაჩნდა დომანიალური რეჟიმი. ის სრულიად არ
შეადგენს ფეოდალიზმის ნაყოფს, ის არსებობდა ფეოდალიზ-
მზე ადრე და მისი წყალობით ეს უკანასკნელი განმტკიცდა
და გაძლიერდა.

აი, ამ ნაირათ, კოროლინგების დროს დასაწყისიდან ნათ-
ლათ ისახებიან სოციალური მოვლენები, რომელნიც საშუალო
საუკუნოებში უკვე განვიჩარებულნი არიან. ბატონ-ყმობა მი-
წათ-მოქმედთათვის ჩვეულებრივ პირობათ ხდება. მემატონეთა
ადგილ-მოვლა უკვე გამოირკვა და მიიღო დამაასიარებელი
თვისებები.

№

**მეფე ვახტანგ მე-VI-ს კანონები და მართლმადიდებელი
ქალი *).**

ფეოდალური წეს-წყობილება საქართველოში, როგორც
ერის განვითარების ერთ-ერთი სტადია, წარმოადგენდა აუცი-
ლებელს და დიდ-მნიშვნელოვან ეპოქას იმის შედეგებით.
ხოლო ყოველ სოციალურ წყობილებას აქვს ისეთი თვისე-
ბა, რომ ევოლიუციის უღმობელო კანონის მეოხებით იგი
თან-და-თან კარგავს თავის პირვანდელ ცხოველ-მყოფლობას,
შინაარსის სიღრმეს და ბოლოს ემსგავსება თავ-გამოლაყუდ-
ბებერს. თუმცა ეს ასეა, მაგრამ საზოგადოების უმეტესი ნა-
წილი კიდევ ვერ ამჩნევს ამ ცვლილებას. ვახტანგის დროს
ყოველივე ის, რაც კი ჯანმრთელა და სასარგებლო იყო ფე-
ოდალურს წეს-წყობილებაში, ცხოვრების ვითარების შეცვ-
ლით თან-და-თან ქრება და მის მაგიერ თავს იჩენს
საზოგადოების გამრყენელნი მოვლენანი. ცხოვრება ვითარდებ-
და, აქედან ერის შემადგენელ ნაწილთა შორის ვითარდებთან
ახალნი დამოკიდებულებანი; ამ უკანასკნელთ ვერ იტყვის ძვე-
ლი იურიდიულ-პოლიტიკური კალაპოტია, ხოლო ამ კა-
ლაპოტის უარ-ყოფა იგივე ფეოდალიზმის უარყოფის მო-
ასწავებს. სწორეთ ამიტომ ფეოდალნი საკუთარ ინტე-
რესებს ვერდს ვერ შეუქცევან; ისინი ცდილობენ ზე-
ვიდან დაამკვიდრონ ის, რასაც ძირს ცხოვრებაში ბოლო ედებ-
და. უეჭველია, გიორგი ბრწყინვალესა და აღმუდას დროს
საქართველოში სუფევდა ფეოდალიზმი, მაგრამ მაშინდელი
ვკლების პიროვნულ-ქონებრივი უფლება ბეკრათ მაღლი იდგ
ახტანგის დროს გლეხის უფლებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომა
პირველ შემთხვევაში ფეოდალიზმი ჯან-საღია, ხოლო მეორე-
ში—დასწეულბული. ამაზე სიტყვის გაგრძელება ჩვენ უად-
გლოთ მიგვაჩნია ამ ეპოქათ, მხოლოთ ვიტყვიო, რომ ნამდ-
ვილი ბატონ-ყმობა (რომელიც განსხვავდება ფეოდალიზმი-
საგან და ცნობილია რუსეთში «крѣпостничество»-ს სახე-
ლით) მთელი მისი საშინელებით მოვედინა საქართველოს და-
ახლოვებით მე-XII-ტე საუკუნის დამლევს. შემცდარი არ ვი-
ქნებით, თუ ვიტყვით, რომ ასეთ სოციალურ პირობებში ზო-
გიერთ მემატონეთა სასახლენი წარმოადგენდენ ყოველგვარ
გარყენილებისა და სისამაგლის ?უდეს. ამის ხელო უწყობდენ
ზოგიერთი ჩვენი ქალბატონებიც. რომელთაც არა ერთი და
ორი „კურო“ ყავდათ პაევათ. ადამიანის პირადი ღირსების
დამკირებას და დამონებას უნდა პოყოლოდა საზოგადოებრივ
ობის დაცვამაც. ვერც გლეხის ქალიშვილი აცლებოდა ამ სა-
ერთო ზნეობის გამათახსირებელ ატმოსფერის გავლენას, ასე
რომ თანამედროვეთა წარმოდგენა წინანდელი ქართველ ქალის
მაღალ ზნეობაზე, ცოტა არ იყოს, გადაქარბებულა. მართლ-
მარწმუნე და კეთილშობილი მეფე ვახტანგი ცდილობს მო-

*) იხ. „კვალი“ № 38.

სპოს ეს არა-სასურველი მოვლენანი, მაგრამ, სამწუხაროთ, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი დადგენილებანი ამ მხრივ აღწევდნენ მიზანს.

ჩვენი კანონ-მდებელთა სამართალი არ არკვევს კითხვას, თუ როდის დგებოდა ქალის სქესობრივი წლოვანება. ჩვენ ვიცით სხვა წყაროებიდან, რომ საქართველოში ძალიან გავრცელებული იყო ჩვეულება, რომელიც მდგომარეობს ქალ-ვაჟის ბავშვობის დროს დანიშნაში. ამ ჩვეულებას განსაკუთრებით თავად-აზნაურთა ოჯახებში ქონდა ადგილი. უეჭველია, იყო ისეთი მაგალითებიც, რომ ათხოვებდნენ პატარა, ასაკში შეუსვლელ ქალიშვილს, რაც უმეტეს ნაწილათ სიცოცხლეს უმოკლებდა მას. დ. ბაქრაძეს მოყავს ამის შესახებ ფრიად საინტერესო დადგენილება მეფე დავით აღმაშენებლის დროიდან; აი მისი შინაარსი: „ჯვარი არ დაწეროთ უსუსურ ბალებს; თუ მანდამიერს საჭიროთ ხადით მათ შეუღლებას მცირე-წლოვანობის დროს, შეგიძლიათ მხოლოდ დანიშნოთ ისინი; ქალიშვილის ჯვარის-წერა არ შეიძლება, სანამ მას არ შეუსრულდება 12 წელიწადი (შენიშ. ვახტ. სამარ. 257 მუხ.). სომეხთა სამართალი გარკვევით აწესებს 12 წელიწადს ქალის ასაკში შესვლისათვის (60, 399).

ჯვარ-დაუწერელათ ქალ-ვაჟის ქმრულათ ცხოვრება გმოპილი იყო როგორც ეკლესიისაგან, აგრეთვე კანონ-დებისაგანაც. ამ წესის დამრღვევს სასტიკათ დევნიდა სამართალი და ეკლესიაც წყევ-კრულვას უგზავნიდა მას. ათაბაგი აღბულა აწესებს: „თუ კაცი კაცსა ცოლსა მიცემს და გვირგვინსა არა შეისკვნის, 12,000 თეთრი დაუურვოს და სამსახურიცა შეექცეს“ (140). ეს მუხლი მით არის კიდევ საყურადღებო, რომ ხსენებული წესის დარღვევა, როგორც ეტყობა, უფრო ხშირათ თავად-აზნაურთა წრეში ხდებოდა. ეს აზრი მტკიცდება იმით, რომ აღბულას სამართალით გლეხზე დაწესებული იყო 12,000 თეთრზე ბევრათ უფრო ნაკლები საურველი.

ჩვენ ზევით ვრცლათ შევხებით იმას, თუ როგორ სისტემატიურათ სდევნიდნენ კანონ-მდებელნი სხვისი ცოლის ძალათ თუ ნებით მომტაცებელთ. სულ სხვა თვალით უყურებენ ისინი ქალიშვილის წაგვრას. ადამიანის ცხოვრების პირვანდელ ხანებში წაგვრა იყო თითქმის ერთათ-ერთი საშუალება, რომ ქალ-ვაჟი შეერთებულიყვენ და წარმოემვათ შთამომავლობა. ეს ჩვეულება განსაკუთრებით ადამიანთა ისეთ გვაროვნულ ჯგუფების ცხოვრებაში უნდა ყოფილიყო გაბატონებული, სადაც ერთ და იმავე ჯგუფის წარმომადგენელთ არ შეეძლოთ ერთმანეთთან შეუღლება და, მაშასადამე, როგორც საცოლო აგრეთვე საქმრო, სხვა ჯგუფს უნდა კუთვნებოდა. დროთა განმავლობაში ცხოვრების განვითარებამ გააადვილა ქალ-ვაჟის შეუღლება; ამიტომ ქალის წაგვრაც თან-და-თან კლებულობს და ბოლოს სრულიათ ისპობა, როგორც საზოგადო მოვლენა. რჩება მხოლოდ ამ ჩვეულების გარეგანი ფორმა; ამას მოწმობენ ჩვენი მაყრები, აფხაზეთში და მთიულეებში დარჩენილი ქალის სიმბოლური წაგვრა და სხვ. ჩვენი სამართალი აწესებს, რომ ვინც მოიტაცებს ახალგაზნდა ქალს და გააუბატოთ მას, ეს მოვალეა, უსათუოთ ცოლათ შეერთოს შეურაცხყოფილი. სამართალს უფრო ნაკლებ მიიჩნია ქალიშვილის მოტაცება, რადგანაც ეს ფაქტი არ არღვევს მაინცა-და-მაინც საეკლესიო კანონებს; პირ-იქით, შეიძლება მას მოყვეს გვირგვინის კურთხევა, მაშასადამე, ქალ-ვაჟის კანონიერათ შეუღლება. სულ სხვაა ქმრიანი ქალის წაგვრა; ამ შემთხვევაში სამუდამოთ ირღვევა საეკლესიო წესი და, რასაკვირველია, ასეთ მოვლენას ისეთ რბილათ ვერ მოეკიდება ვერც მეფე და ვერც სამღვდლოება. ბოლოს დაგვრჩენია და-

ვძინოთ, რომ ბერძენთა და სომეხთა კანონებში სწორი აზრია გატარებული.

II ერიქონული

ქართველი ქალის ქონებრივი მდგომარეობა

როდესაც ქართველი ქალის ქონებრივ მდგომარეობას გვაქვს ბაასი, ჩვენ ერთ წუთშიც არ უნდა დავავიწყოთ სოციალური საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც სუფ და საქართველოში კანონ-მდებელთა დროს. ეს წყობილე როგორც ვიცით, ფეოდალური იყო, ამიტომ ქონებრივი მოკიდებულებანი სხვა და სხვა წოდებთა წარმომადგენელ შორის ამ წყობილების შესაფერი უნდა ყოფილიყვენ ერთს ალაგას ვთქვით, რომ გიორგი ბრწყინკალეს დროს დროს გლეხს ქონდა შედარებით საკმაო უფლებები თქვენს არც საკვირველია, რადგანაც ფეოდალთა უფლებებზე გლეხებზე ჯერ კიდევ ვერ გადაქმნილიყვენ განუსაზღვრე ძალმომრეობაზე, მასთან ცხოვრებაც არ იყო ამ დროის დენათ განვითარებული, რომ ფეოდალთა მოთხოვნა ყოფილიყვენ ნამეტანი რთულნი, რომელთა დასაკმალოთ საჭირო ყოფილიყო გლეხის სასტიკათ შევიწროება ბატონის ცხოვრება ჯერ კიდევ ერთობ სადა იყო, ის ცოტათი განსხვავდებოდა გლეხის ცხოვრებისაგან, მაშასადამე, მისი მადის დაკმაყოფილება, თუ გინდ ის (მეფე) ღორ-მუცელაც ყოფილიყო, მანდამიერს დიდ ტვირთს აწევებოდა გლეხს. ამ მიზეზებს უნდა მიეწეროს ის მოვლენა, რომ გლეხს ქონდა როგორც მოძრავი, აგრეთვე უძრავი ქონება. მართალია, უძრავ მამულის თავის ნებით გაყიდვა აკრძალული ქონდა გლეხს სამართალით, მაგრამ ცხოვრებაში ეს დადგენილება ხშირათ ირღვეოდა, სულ სხვას ვხვდავთ ჩვენ შემდეგ საუკუნოებში და განსაკუთრებით მეფე ვახტანგის დროს! გლეხი კარგავს როგორც პიროვნულს, აგრეთვე ქონებრივ უფლებებს და ბატონის სრული მონა-მორჩილი ხდება, მისთვის არ არსებობს უძრავ-მოძრავი საკუთრება. ვახტანგის სამართლის ერთი მუხლი ნათლათ გეუბნება ამას: „ცმისა ყველა ბატონისა არის“ (258).

საზოგადოთ მიწა-ადგილის საკუთრება იურიდიულათ განისაზღვრება სამი უმთავრესი უფლებით: სარგებლობა, მფლობელობა და ნება-ყოფლობითი გაყიდვა-გასაჩუქრება. ვახტანგის დროს ქართველ გლეხს ქონდა სარგებლობის უფლება და ისიც არა მთლათ, რადგან ბატონს შეეძლო ზოგიერთ შემთხვევაში სრულიათ გაეძევებინა გლეხი თავის მამულიდან, რაც შეეხება დანარჩენ ორ უფლებას-მფლობელობა და ნება-ყოფლობითი გაყიდვა-გასაჩუქრება—მხოლოდ ბატონი იყო ამ უფლებებით აღჭურვილი. რაც უნდა აყოს გლეხის მამულიდან გაძევება ძლიერ იშვიათათ ხდება საქართველოში და ამიტომ მამულის სარგებლობის შემკვიდრებითი გადასვლა გლეხისაგან მის შვილ და შვილიშვილ ებზე ჩვეულებისაგან განმტკიცებულ საყოველთაო მოვლენათ უნდა იქნას აღიარებული. ეს მოსაზრება მით უფრო სამართლიანია, რომ ბატონი უმეტეს ნაწილათ თვითონ იყო დინტიერესებული მუშა ხელი არ მოკლებოდა მის მამულს და ამიტომ ისეთ სასტიკ საშვადლებს, როგორიც არის გლეხის ძალათ გაძევება, ის მიმართავდა ხოლმე იშვიათათ და არა ჩვეულებრივ პირობებში. მაშასადამე, გლეხს ქონდა ფაქტიურათ სარგებლობის უფლება მამა-პაპათაგან დატოვებულ მამულზე.

რაც ჩვენ აქამდე ვთქვით, ეხებოდა უმთავრესათ კაცს, ხოლო რაც შეეხება ქალის უფლებას უძრავ ქონების ამ მხრივ სულ სხვა მდგომარეობაში იყო. ამიტომ საინტერესოა ვიცოდეთ, ქონდა თუ არა ქალს უფლება ყოფილიყო უძრავ ქონების მესაკუთრეთ! ამ კითხვაზე ჩვენი კა-

ნონდებ ვერ გვაძლევს გადაჭრილ სწორ პასუხს ყოველ შემთხვევაში კანონ-დების საზოგადო ხასიათი ჩვენ გვაძლევს ნებას დავსკვნათ, რომ ეს არაა ქონების მემკვიდრეთ აღიარებულისა ჩვენ ცხოვრებაში ვაჟი-შვილი, ქალიშვილი ამ მხრივ დაჩაგრული იყო. ვახტანგის სამართალი პირდაპირ ამბობს ერთ ალაგას: „ჩვენ ქვეყანაში მამულს მზითვით არ მისცემენ დედობით სქეს“ (257). ხოლო ჩვენ ვიცით ისეთი მუხლები როგორც ვახტანგის, აგრეთვე აღზულას სამართლიდან, რომელიც ვხედავთ ქალის მზითვს, შემდგარს უძრავ მამულისაგან. მაგ. აღბულა აწევებს, რომ ქვრივ ქალს არ შეუძლია გაყიდოს, ან გაასაჩუქროს მამული, რომელიც მას მზითვით მოყოლია; თუ მას ყავს შვილები, მამულიც უკანასკნელთ დარჩება, თუ არა, მაშინ ის უკლებლათ დაუბრუნდება ქვრივის მახლობელ ნათესავებს (47, 82). მეფე ვახტანგიც სწორეთ ბჭობს თავის სამართალში და დასძენს კიდევ იმას, რომ ნათესავზე დაბრუნებულა მამული ეკუთვნის ქვრივის დას (84). როგორც ხედავთ, ქართველ ქალს ეძლეოდა მზითვით მამული, მიუხედავად ვახტანგის სიტყვებისა. „ჩვენ ქვეყანაში მამულს მზითვად არ მისცემენ“... აუცილებლათ საჭიროა აქვე შევნიშნათ, რომ ქალის მამულით გამზითება ხდებოდა კრებების ყოველთვის თავად-აზნაურთა წრეებში, ასე რომ ხსენებული მუხლი ვახტანგის სამართალიდან არ ეხებოდა საზოგადოთ ქართველ გლეხებს. ეს არც გასაკვირველია, რადგან გლეხს, როგორც ვიცით, არ ქონდა სრული კუთვნილობითი უფლება მამულზე, მას შეეძლო მხოლოდ მიწის დამუშავება თავის და ბატონის გამოსაკვებათ და არა გაყიდვა-გასაჩუქრება. მასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ გლეხის ქალიშვილი ხშირათ მიყობოდა ცოლათ სხვა ბატონის გლეხს, ამიტომ ის სამუდამოთ შორდება პირველ ბატონს, ხოლო მისი მშობლები მიწა-ადგილებით ძველ ბატონის საკუთრებათ რჩებოდნენ.

იყო ერთი შემთხვევა, როდესაც მამის უძრავ-მოძრავი ქონება შესაძლებელი იყო დარჩენილია გლეხის ქალიშვილსაც. მეფე ვახტანგის სამართლით, თუ მამას სიკვდილის შემდეგ დარჩებოდა ერთათ ერთი ქალიშვილი, მაშინ უკანასკნელი ხდებოდა მამის ყოველგვარ ქონების მესაკუთრეთ შეიძლებოდა, რომ ამ შემთხვევაში აბლათ დარჩენილი ქალი შეერთო ცოლათ უბატონო და უმასულო ბოგანო გლეხს და ამის შემდეგ სამუდამოთ დასახლებულიყო ცოლის მამულში იმ პირობით-კი, რომ არივე ცოლ-ქმარს განეგრძოთ მამულზე დაწესებული სამსახური ბატონის წინაშე (145). ვახტანგის კრებულში შეტანილი ჩვეულებანი იმასვე აწესებენ აზნაურთა და მოქალაქეთა ობოლ ქალიშვილების შესახებ: „აზნაურთ და მოქალაქეთ, რომელიც არ ყავდათ ვაჟიშვილები, ქალიშვილების გარდა შეეძლოთ მემკვიდრეობა გადაეცათ ქალიშვილების ქმრებს, ხოლო ამ შეერთებიდან წარმომდგარი შვილები ითვლებოდნენ მამულ-დედულის ნამდვილ მემკვიდრეებათ (36).

ჩვენი კანონ-მდებელნი ხშირათ იხსენიებენ ქალის მზითვს და შედარებით დაწვრილებით განიხილავენ მის სხვა და სხვა ფორმებს. ამ მხრივ განკარგულ მავალითს წარმოადგენს გიორგი ბრწყინვალე, რომელიც სრულიათ არ იხსენიებს თავის სამართალში მზითვს და მით შეუძლებელი ხდება ჩვენთვის რაიმე წარმოდგენა ვიქონიოთ მის შეხედულებაზე ამ საგნის შესახებ. უეჭველია, ქალის გამზითვას გიორგი ბრწყინვალეს დროსაც უნდა ქონოდა ადგილი, ხოლო არ იყო ის, როგორც ბევრი სხვა მოგონანი, განსაზღვრული კანონ-დებისაგან და ამიტომ ის ექვემდებარებოდა მხოლოდ ერის ჩვეულებას. საზოგადოთ გიორგი ბრწყინვალის სამართალიდან ჩვენ ვერ ვტყობილოთ ქალის ქონებრივ მდგომარეობის შესახებ ვერავითარ ცნობებს. არის მხოლოდ ერთი მუხლი გიორგის სამართალში, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ თუ ვინცოცაა ქმარი გაეყაროს უმიზეზოთ ქვრივი ქალი მოვალეა გადინდოს ნახევარი სასხლის სურვილი წესებული „დიაცის გვარსაზედა“ (21, 25). ამ მუხლებიდან არა სჩანს, ვის მსარგებლოთ უნდა გადინდოს საურველი დამნაშავე ქმარმა-ცოლის თუ ცოლის მშობლების.

აღბულა და ვახტანგის სამართალი მზითვს აღიარებენ იმის საკუთრებათ, ვისაც მოყვა იგი. ეს იმას ნიშნავს, რომ როგორც ქმარს, აგრეთვე ცოლსაც შეეძო ქონებოდა თავის საკუთრება და მოეხმარა ის თავის სურვილისამებრ. აღბულას სამართლით უშვილოთ და ჩენილი ქვრივი ქალი დებულობს უკლებლათ თავის მზითვს; თუ ვინცოცაა ის მოკვდა, მზითვი ან მთლათ გადავა მის ნათესავებზე, ან მარტო ნახევარი, უკანასკნელ შემთხვევაში მზითვის მეორე ნახევარი შეეწირება ეკლესიას მიცვალებულის სულის მოსახსენებლათ. თუ ქვრივ ქალს დარჩა მხოლოდ ვაჟი-შვილები, უკანასკნელთ ერგება მზითვიდან მარტო იარაღი, დანარჩენი კი ქვრივის საკუთრებაა იმ შემთხვევაშიაც, როცა ის მითხოვდება მეორე ქმარს. სულ სხვას აწევებს აღბულა მაშინ, როდესაც ქვრივ ქალს დარჩება ქმრისგან ქალიშვილი,—ამ შემთხვევაში ქალიშვილს ეკუთვნის უკლებლათ დედის მზითვი (82, 83). როგორც ვხედავთ, ცოლი არ ყოფილა იმდენათ დაჩაგრული ქმრისაგან ქონებრივით, მას ქონია თავის საკუთრება, რომელსაც ქმარი ხელს ვერ ახლებდა მის ნება-დაურთქელათ. ეს ფაქტი ნათლათ ამტკიცებს ოჯახის წევრთა შორის ქონებრივ დამოკიდებულებათა ჯეროვნათ განვითარებას ჩვენ ცხოვრებაში წასრულ საუკუნოებში.

(შემდეგი იქნება).

წერილი რედქციის მიმართ.

თქვენ ზატყვემულ გაზეთ «კვალის» 37 №-ში მოთავსებულია კორესპონდენტის თელავის ბაბლითაიის შესახებ ვინმე «გულისით შეგობრისა», ეს კორესპონდენტის გარდა ანგარიშისა, სრულიათ სიამართლეს მოკლებულია.

ბ-ნი „გულისით შეგობრისა“ თავის კორესპონდენტის ბაბლითაიის 1901 წლის ანგარიშით იწუებს და ბრძანებს: „ეს ანგარიშში გამკეობის მიერ დამტკიცებულ ანგარიშის ნამდვილ შირიდან არის ამოღებული“. გამოდის, რომ გამკეობის ანგარიშს გამკეობავე ამტკიცებს. ახა ერთა მიბრძანეთ, ეს სდაური წესია? გამკეობის ანგარიშს გამკეობავე ამტკიცებს თუ სსოგადო კრება?

ანგარიშის შემდეგ ბ-ნი „გულისით შეგობრისა“ ბაბლითაიის წევრთა კრებაზე დახმარებას (დემონსტრაცია უწიეს რომელი დროის კრება აქვს მხედველობაში) და ბრძანებს: სარევიზიო კომისიამ მოახსენა კრებას, რომ გადაფთვადიერეთ სმკითხველს წიგნები, და დაკარგულია 198 ცალი, ამთგანი ზოგი გავაუქმეთ სიძველის გამო და ზოგიც კატალოგში შევიტანეთ. ბ-ნი „გულისით შეგობრისა“, წიგნების გადასინჯვა, კატალოგების შედგენა სარევიზიო კომისიამ მოახსენა, თუ სხვა განკებ, ამ საქმისთვის ამოწმებულმა კომისიამ? ან რა კომისია იყო ის, რომ რამდენიმე (ასეუ მეტი) წიგნი დაკარგულია სწრა და თანაც ახალ კატალოგში შეიტანა? განა ეს მტკნარი სიტყუვა არ არის? მაგრამ ეს დაუგდეთ რას ბრძანებს ქვემოთ „გულისით შეგობრისა“ გამკეობის თავიანთ თანამდებობაზე უარი განაცხადეს, ანაღი შეგობრის ანგარიშისა, მხოლოდ ერთი დათანხმდა დროებით: ამასთან ახალმა გამკეობამ (საიდან გამოტყუდა ეს ახალი გამკეობა, თუ უველამ უარი განაცხადეს ამ თანამდებობაზე?) კრებები გამართა და კრებებს სსოგადოება არ დაესწრო. ეს კი შეტის შეტად წრეს გადასული სიტყუვა. ჩვენ ნამდვილი წყაროებიდან


იცით, რომ ასაღ კამკობათ ამარჩეულ ზირებს არავითარი კრება არ მოუხდენიათ ამ წელს და კარკესონდენტს ალბათ სიზმარში თუ მისჩვენებია, და თუ ცხადდის ნახა, ვისთვის ,,კულის შეკობარც“ დაგვისასკელს სად და რადის იყო ეს კრება დანიშნული. ამასთანავე ჩვენ ზირობას ვსდებთ საზოგადოების წინაშე, რომ თუ ,,კულის შეკობარც“ თავიანთ ნათქვამს დაკვირვებებს, ბოდიშს მოვიხდის საქვეყნოდ და რომელიმე საქველმოქმედო საქმისთვის გადავიხდა 40—60 მან. ფულს. ხოლო თუ სხენებულ კარკესონდენტი ტუყანი გამოდგეს, ვისთვის ,,კვალის“ რედაქციას ნიდაბი ახადოს ამ ვაგუბატონს და გამოაცხადონ მისი ნამდვილი გვარი *), როგორც ცრუზებტელს კარკესონდენტისა, რათა სხვა გასუთებმაც იცოდნენ და შეცდომაში არ შევიდნენ მისი კარკესონდენტობით.

ვ. გ—ლი

ქმაკები გუდას ბერავდენ და ღვინო არსად იყოფა, ამბობს ჩვენი ანდაზა და ისე მოდის ბ. ლადო ბზვანელს აგვისტოს 25 ,,ივერიის“ 181 №-ში. სამტრედიის შესახებ ის რაც შეიძლება აქებს აქურდ არ ადამიანს, ვითომდა ქსენონს აარსებენო, ვითომდა სავიროფო სკოლასაც? სავიროფოა დიქონი? რომელ სამტრედიასზედ ბრძანებს კარკესონდენტი ვერ გავიგია? ამ სამტრედიის ქსენონის დაარსების შესახებ არაფერი გაცხადებულა. ერთ დღეს სხვა და სხვა საქმეების შესახებ ეკლესიის გალაფანში აქაურს მცხოვრებს თავი შეეყარათ და სხვათა შორის ღაზარაკი ჩამოეღდო დიდჯიხაშიის ქსენონზე, თუ რა სარგებლობა მოაქვსო, და თუ სარგებლობა აქაც ვეცადოთ დაარსებასო (ნეტა ვიცოდე აქ რა შვასია ორი ადამიანის ქება). რაც შეეხება სავიროფო სკოლას, ლადო ბზვანელს თუ დაესიზმრა არვიცი, თორემ იმის შესახებ სულ არ უფიქროს ღაზარაკი არსად ჩვენს დაბაში. სავიროფო სკოლაზე ვინ აიტვიკუბს თავს აქ, როცა საფრანგეთის შკოლებიც არ გვაქვს სავიროფო და ვინ იცის აქაურ მისწავლეებს სად უადოდებთ სისწავლათ. მომავალში აქაურ მცხოვრებს შეუძლია თუ იმაცადინებს თვითვე გაიხინოს საქალაქო და სამეურნეო შკოლებიც.

რაც შეეხება სამკითხველს რაგან მოწყობა და მრავალ წიგნების შექმნაზე, ეს ეკუთვნის თვით აქაურ მოაჭრეებს, რომლებსაც სამკითხველს ეძლევა წლიური ხარჯი 160 მან. და თუ ვინმე კერძო ზირმა მეტი აშრომა რომელიმე საზოგადო საქმისთვის, ამას თვით აქაური მცხოვრები შეხედავს და დირსეულათ დაფასებს... რად სავიროფო ბ. ლადო ბზვანელის ტუვილი გუდას ბერავ. დეკ. ვინც სურს ის შეაქოს ,,ივერიის“ ფურცელზე ბ. ლადო ბზვანელმა, მხოლოდ მის ტუვილებს მიქარავს ჩვენს ბედარულ სამტრედიას ნუ გარეკს და რაც არა აქვს მას ნუ დაიშისებს

ნალბანდიშვილი.



სამკითხველთა საზოგადოება

18 ხმ თვეს თავად წერეთლის საოპერო დასმა დაიწყო წარმოდგენები. დღემდის გაიმართა სულ სამი წარმოდგენა. საზოგადოათ უნდა აღვნიშნოთ, რომ დასი ახალ გაზრდა არტისტებისაგან შედგება, მიუხედავად ამისა სამი წარმოდგენა ჩინებულათ ჩაატარეს, არტისტებს ემჩნევათ საქმისადსი გულმოდგინეობით მუშაობა. სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ თავად

*) ბ. გ—ლის არ ცოდნია, საქმეზედ, რომ არც ერთი რედაქცია ავით თხოვნას არ დააკმაყოფილებს... კარკესონდენტს მხოლოდ თვითონ შეუძლია გამოავსკარავოს თავისი გვარი რედ.

წერეთელს ასეთი შეწყობილი დასი შეუდგენია ახალ-გაზრდა არტისტებისაგან, რომელთა ნაქს მომავალი მხარე მტკიცების ცემა და დაფასება მოეღის.

გიორგი თქვათ.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.

თფილისის კერძო სამკურნალო გელეპანიშვილისა

(კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21).

თელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

- გ. ა. ჭაჭინაძე—კბილის სნეულეზანი, 8—10 საათ.
- ნ. ტ. მუღინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—11.
- ბ. გ. მალაღაშვილი—შინაგან. სამშ. ხუთშ. და შ. თობით 10—11.
- დ. ა. კამოვეა.—საშარდეს (ქირურგიული). ავთომყოფა-სათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.
- ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულეზანი, 11—12.
- კ. მ. ელიაშვილი—შინაგ. და ბავშ. 11—12.
- დ. ა. გელეპანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლო-ბა ელექტრონით 12—1 ს.
- გ. მ. მანსვეტოვა—შინაგანი, ნერვების, და ბავშვების სამშაბ. და პარასკ. 1—2. კერაობით—9—11.
- ა. გ. ბარსუკოვა—დედათა სნეულეზანი, ორშაბათობით ოთშაბათობით და პარასკეობით, 12—1.
- გ. მ. ამბარდანიშვილი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2.
- ვ. გრ. სობოლევსკი—ქირურგ. და ორტოპედული, ორშ., ოთშშ. და პარასკ. 1—3.

ს ა დ ა მ ო თ ი:

- ა. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულეზანი, 5—6.
 - ა. გ. მალაღაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილო-აქრა, მიკრო-ქიმიური ბაქტერიოლოგიური გამოკვლევანი 5—6.
- სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-დასტურებისა 50 კაპ., ოპერაციები და კრაოტები მორიგებით.

სასწავლებელი და პანსიონი.

ს მამულაიშვილისა

ვერა, სლევკოვის ქუჩა, № 13. ზემმელის აფთიექის მხლობლათ.

ამზადებს ბავშვებს საშუალო სასწავლებლებისათვის (გონაზია, რეალური და კომერციული სასწავლებლები, კადეტთა კორპუსი და სხვ.). იქვე ამზადებენ მოწაფეებს, რომელთაც დანიშნული აქვთ ხელ-მეორეთ გამოცთა (переэкзаменовки).